# საარბიელო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 მარტი 2007 №49 (2972) ფასი 50 თეთრი





...„ამერს“ ფრეც ჰყოფნის, „დინამოს“ მხოლოდ მოგება აძლევს ხელს, თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვას — დღეს საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებია და მთავარი ამბავი „მიხეილ მესხზე“ დატრიალდება. დუშან უჰრინის „დინამომ“ გიორგი ჩიხრაძის „ამერს“ ერთბურთიანი ჩამორჩენა თუ არ ამოუქაჩა, წლეულს ერთ ტიტულს დღესვე შეელევა. „ამერი“ ჯერაც თასის მფლობელია, „დინამომ“ კი ასეთი ნადავლი ბოლოს 2004 წელს მოიხვეჭა, სულ კი რვაჯერ აუწევია საქართველოს თასი. როგორც უნდა იყოს, „ამერს“ ფორა აქვს, თუმც ისიცაა, რომ ბოლო დროს „დინამო“ უწინდელზე უკეთესად თამაშობს და დღეს ვაკეში კარგი შეხლა უნდა გამოვიდეს.



## არ გამოვიდა ბათუმში, გამოვიდა ტაშკენტში
## გოგშელიძე თუ კურტანიძე: ოქრო გიორგის დარჩა

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში 96 კილოგრამ წონაში რომ კონკურენციაა, ნებისმიერი სახეობის მწვრთნელი ინატრებს. ნაკრებში მოსახვედრად მსოფლიოს ჩემპიონები, ლუკა კურტანიძე და გიორგი გოგშელიძე იბრძვიან.

ორი მსოფლიოს ჩემპიონის რკენას ჭიდაობის მოყვარულები იანვარში ბათუმში ნატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე ელოდნენ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, ტურნირი ამ ფინალის გარეშე დასრულდა.

კურტანიძე და გოგშელიძე პირისპირ ამ უქმეებზე, ტაშკენტის ოქროს დიდი პრიზის ფინალში დადგნენ — გამარჯვება გიორგის დარჩა.

ამ ოქრო-ვერცხლის გარდა ტაშკენტიდან ქართველმა თავისუფლებმა კიდევ ორი მედალი წამოიღეს: რევაზ მინდორაშვილმა ვერცხლი, ხოლო ალექსი მოდებაძემ ბრინჯაო.

# დღეს ვილაცას ბატონები შეეყრება
# დიდთა დიდ მატჩს წითელა დაჰკრავს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| | | |
|---|---|---|
| ლივერპული (ინგლისი) | V | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ვალენსია (ესპანეთი) | | ინტერი (იტალია) |
| პორტუ (პორტუგალია) | S | ჩელსი (ინგლისი) |
| ლიონი (საფრანგეთი) | | რომა (იტალია) |

დიდთა დიდი მატჩი: დღეს „ლივერპული“ — „ბარსელონაა“ და რა გასაკვირია, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის ყველაზე გამორჩეული წყვილიც ეს არის.

ინტრიგას ისიც ამძაფრებს, რომ „წითლებმა“ კატალონიაში 2:1 მოიგეს, ანუ „ბარსამ“ აუცილებლად შემტევი ტაქტიკით უნდა ითამაშოს და ამას რონალდინიო-ეტოო-მესის „ჯადოსნური სამეულით“ ეცდება.

საინტერესოა, რომ ეს ტრიო 161-დღიანი შესვენების შემდეგ პირველად გავა მოედანზე.

დღევანდელი მერვედფინალის სხვა წყვილები ასეთია: „ვალენსია“ — „ინტერი“ (2:2), „ჩელსი“ — „პორტუ“ (1:1) და „ლიონი“ — „რომა“ (0:0).

მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, ტელევიზორებს მივუსხდეთ და დიდთა დიდობას ვუყუროთ...





AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრაიბურგს თვითრწმენა მხმარება

## იაშვილს ზღაპარშიც უთამაშია




გასულ უქმეებზე „ფრაიბურგმა" კონკურენტ „დუისბურგს" მოუგო და პირველ ბუნდესლიგაში მიმავალი გზა დაიმოკლა. არადა, პირველი წრის შემდეგ ელიტაში აღზევება წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ „ფრაი" ათამაშდა და... ბადენვიუნტერბერგელებმა მეორე წრის შვიდ მატჩში (6 მოგება, 1 ფრე) უკვე იმაზე მეტი ქულა დააგროვეს, ვიდრე პირველი წრის 17 თამაშში.

„ფრაიბურგის" ამ შედეგში უდავოდ დიდია ჩვენებურთა წვლილი. ოთარ ხიზანეიშვილი ტრავმის შემდეგ სწორედ მეორე წრეში დაუბრუნდა ძირითადს და იმის გარდა, რომ დაცვითი ხაზი შეკრა, ერთხელ გოლსაც გამორჩა. ალექსანდრე იაშვილი კი გუნდის ნამდვილი ლიდერია. ბოლო ტურებია, გოლები გააქვს, ხოლო საგოლე პასებით ლიგაში სულაც პირველია. გუშინ იაშვილს გერმანიაში შევეხმიანეთ...

— „ფრაიბურგმა" საოცარი ტემპი რომ აკრიფა, რას უნდა მივაწეროთ?

— ალბათ იმას, რომ გუნდის ყველა წევრს საკუთარი თავის რწმენა გაუღვივდა. შემადგენლობაში ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ ფაქტია, უკეთესად ვთამაშობთ. ეტყობა, პირველ წრეში უფრო ზედმეტმა თვითდაჯერებამ შეგვიშალა ხელი.

— თითქოს ბუნდესლიგა შორს აღარ მოჩანს...

— ახლა ამ თემაზე ფიქრი არ გვინდა. პირველ წრეში გვეგონა, რომ აუცილებლად გადავიდოდით და... ახლა ყველას მხოლოდ კონკრეტული, მომდევნო მატჩის მოგება გვინდა. რა გამოგვივა, ბოლოს ვნახავთ.

— აქამდე პენალტებს არ ურტყამდი, ბოლო მატჩებში კი ზედიზედ გაიტანე...

— ამ სეზონის წინ საწვრთნელ თამაშებში დავარტყი, მერე ისე მოხდა, რომ ჩვენ სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი არ დანიშნულა, როცა ამის საშუალება მომეცა, მაშინ გამოვიყენე.

— საგოლე პასებით ლიგაში პირველი ხარ, რა უფრო მნიშვნელოვანია გოლი თუ პასი?

— თავდამსხმელის უპირველესი მოვალეობა გოლია, მაგრამ გუნდის შედეგი ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანია. ასე რომ, საგოლე პასი არანაკლებ სასიხარულოა.

— გოლი+პასის სისტემით ლიგაში მესამე ხარ და კარლსრუელ ფედერიკოს ექვსით ჩამორჩები...

— მაგაზე ნაკლებად ვფიქრობ, მთავარია, „ფრაიბურგმა" დასახული ამოცანა შეასრულოს — ბუნდესლიგაში დაბრუნება.

— ხიზანეიშვილის დაბრუნებამ დაცვაც გაუვალი გახადა...

— მართლაც ძალიან მაგარ ფორმაში შევიდა. „დუისბურგს" მეორე ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ჰყავს, მაგრამ ჩვენმა დაცვამ ფორვარდებს ფეხი არ გაანძრევინა, ოთარი კი დიდებული იყო.

— მეორე წრეში ყველაზე რთული თამაში ალბათ აუე-სთან (5:4) გქონდათ, რას იტყვი იმ მატჩზე?

— ამდენი ხანია, ფეხბურთელი ვარ და ასეთი რამ არ მინახავს. ამ შეხვედრაში ყველაფერი მოხდა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ფეხბურთის გულშემატკივრისთვის სასიამოვნო საყურებელი კი იყო, მაგრამ ჩვენ ჩვენი დაგვემართა? კიდევ კარგი, ნერვიულობა თამაშის პროცესშივე დავძლიეთ. ეს მართლაც ზღაპარი იყო.

— მალე ნაკრებს მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს შოტლანდიასთან...

— ნაკრების მწვრთნელმა ბოლო ამხანაგურ მატჩებში დამასვენა, საშოტლანდიოდ კი აუცილებლად ვიქნები და მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ. ურუგვაისთან და თურქეთთან თამაშებმა ყველას ჩაგვისახა რწმენა.

— „ფრაიბურგში" 19-წლამდელთა ნაკრების წევრი დავით თარგამაძეა. რა აზრის არიან მასზე?

— ძალიან ნიჭიერი ბიჭია, აქაურები უკვე თითებზე ითვლიან, როდის შეუსრულდება 18 წელი. მანამდე კონტრაქტის გაფორმება ოფიციალურად არ შეიძლება. დათო თბილისში მაისისთვის ჩამოვა, სამუშაო ვიზას აიღებს და ზაფხულისთვის კონტრაქტი გაფორმდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




# პლატინის სასოწარკვეთილი დიასახლისებიც ნახავენ

**7 მარტს** საქართველოში უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ჩამოვა. თავისთავად უნიკალური მოვლენაა, რომ ევროპული ფეხბურთის მთავარკაცად არჩეულ ფრანგს თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტი თბილისში ექნება.

სწორედ პლატინის სტუმრობასთან დაკავშირებით, ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ირაოს" მინი-მოედანზე ქალთა ტურნირი დაიწყება — ლაპარაკია არა ქალ ფეხბურთელებზე, არამედ სხვადასხვა სფეროში მოტრიალე მანდილოსნებზე, ანუ ცნობილ სახეებზე.

ტურნირი 7 მარტს დილით დაიწყება და 11 მარტს დასრულდება. გახსნის ცერემონიალს თავად მიშელ პლატინი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები დაესწრებიან. ამ ტურნირთან დაკავშირებით, საქართველოს ნაკრების ფან-კლუბის ხელმძღვანელმა გიორგი ხაჩიძემ გუშინ ფედერაციაში გვაცნობა.

ტურნირში 9 გუნდი ითამაშებს, რომლებიც სამ ჯგუფად განაწილდნენ — ჯგუფში გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსანი ნახევარფინალურ წყვილებს შეადგენენ.

კენჭისყრას ის ქალებიც ესწრებოდნენ, რომლებიც „ირაოზე" ბურთს გააგორებენ.

**A** ჯგუფი: „რედ ბული", „ქარიშხალი", „ზიზუ"

**B** ჯგუფი: „ძმლეთამძლე", „ელიტელექტრონიქსი", „ვიტამინები"

**C** ჯგუფი: „ლაიგერები", „ფეოლა", „სასოწარკვეთილი დიასახლისები"

**ილია ნანობაშვილი**

# ჩვენი ლეგენდის ქუჩა

ეს დავით ყიფიანის ქუჩაა, რომელიც იმ ალაგს მიუყვება, სადაც თბილისის „დინამოს" ლეგენდარული 10 ნომერი გულშემატკივრებს აჯადოებდა თავისი ელეგანტური თამაშით, საოცარი პასებით, მოედნის უზადო ხედვით.



ეს ქუჩა მუშტაიდის პარკსა და ეროვნულ, მაშინდელ „დინამოს" სტადიონს ყოფს. სწორედ ამ ქუჩაზე „დინამოს" თამაშებისას ხალხის ტევა არ იყო, ხალხი ყიფიანისთვის დადიოდა...

# გურამ გაბისკირია — კაცი, რომელსაც მუდამ გაიხსენებენ



გურამ გაბისკირიის ოჯახის წევრები

**გუშინ** კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში საქართველოსთვის თავგანწირული და ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცის ხსოვნის საღამო მოეწყო. აფხაზეთის ომმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მათ შორის გურამ გაბისკირიას ამბავი გამორჩეულად ტკივილიანია. იგი სოხუმის „ცხუმის" პრეზიდენტი იყო — კაცი, რომელიც ამ გუნდთან ასოცირდებოდა, „ცხუმი" და გაბისკირია განუყოფელნი იყვნენ.

ხსოვნის საღამოს აფხაზეთის მთავრობის წევრები, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები და გურამ გაბისკირიას ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.






გათამაშების ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!

**ინგლისი**

ჩემპიონატი
XXXVI ტური
პრესტონი 3:1 საუთჰემპტონი

**იტალია**

სერია B. XXVI ტური
მანტოვა 1:1 ტრიესტინა
სერია C1/B. XXV ტური
ანკონა 0:2 ლანჩანო

**გერმანია**

II ბუნდესლიგა
XXIV ტური
კარლსრუე 2:1 კიოლნი

**შოტლანდია**

პრემიერლიგა. XXIX ტური
მოზერუელი 0:2 ჰართსი

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XXVII ტური
ტურსი 2:3 კაენი

**ფინეთი**

თასი. I ჯგუფი
ვიიკინგიტი 1:1 ლაჰტი

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XX ტური
ბოავიშტა 0:0 ბელენენსეში

**უნგრეთი**

ბორსოდი ლიგა. XIX ტური
დებრეცენი 1:0 კაპოშვარი

www.pfl.ge

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოს ერთი სული აქვს, ამერს ერთი ბურთი

## თამაში ნეიტრალურ სტადიონზე



გაფარი ქართლელის ფოტო

...„დინამო თბილისისთვის" ეს მეოთხედფინალი ფინალივითაა — პირველი გადამწყვეტი მატჩია დუშან უჰრინის გუნდისთვის. უჰრინი „დინამოში" შარშან სექტემბერში მივიდა, როცა სეზონი უკვე დაწყებული იყო. პირველი წრის შემდეგ კი ჩეხმა უკვე თვითონ მოამზადა გუნდი შეკრებაზე, თვითონ აწარმოა სელექცია და ახლანდელი „დინამო" უკვე მთლიანად მის თარგზეა მოჭრილი.

უჰრინი „ამერის" თავკაც გიორგი ჩიხრაძეზე ბევრად უფრო სახელიანი და გამოცდილი მწვრთნელია. მას საკმაოდ ჰქონდა დრო, ქართული ფეხბურთის ავან-ჩავანს კარგად ჩასწვდომოდა. მისი გუნდისგან მხოლოდ ტიტულებს ითხოვენ — თასსაც და ჩემპიონობასაც.

მოკლედ, დინამოელთა ჩეხ დამრიგებელს უკვე მოეთხოვება გუნდის წარმატება — ყოველ შემთხვევაში, „დინამოს" ხელმძღვანელობას ამის უფლება ნამდვილად აქვს და ვერც იმას უარვყოფთ, რომ „დინამო" ახლა უფრო უკეთ გამოიყურება, ვიდრე პირველ წრეში.

პირველ შეხვედრაში „ამერმა" 2:1 რომ მოიგო, „დინამოს" ხელმძღვანელობამ მსაჯებისკენ გაიშვირა ხელი, პენალტი არ დაგვინიშნესო და მსაჯობისადმი პრეტენზიები პროფლიგაში და ფედერაციაშიც გამოთქვა.

მსაჯობაზე რა გითხრათ და, პირველი თამაში მართლაც დრამატული გამოდგა — ამერელბმა მატჩის მინურულს გაიტანეს გამარჯვების გოლი, თანაც დინამოელთა მეკარის შეცდომის შემდეგ.

და რა იქნება დღეს „მიხეილ მესხზე"? მატჩამდელი ინტერვიუები „დინამოს" და „ამერის" კაპიტნებს, დავით დილმელაშვილს და გიორგი დავითნიძეს ჩამოვართვით



გაფარი ქართლელის ფოტო

### დავით დილმელაშვილი:

— ჩვენ მხოლოდ გოლგაუშვებელი მოგება გვაძლევს ხელს, „ამერს" კი ფრეც ჰყოფნის ნახევარფინალში გასასვლელად. მოკლედ, „დინამო" უფრო რთულ სიტუაციაშია, მაგრამ იმედია, მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ.

— პირველ თამაშზე რას იტყოდი, მაინც სად დაუშვა „დინამომ" შეცდომა?

— „ამერის" მეორე გოლი შემთხვევითობა იყო, კურიოზული ბურთი გავუშვით, ფეხბურთში ასეთები ხდება ხოლმე. რაიმე უხეში შეცდომა კი გუნდს არ ჰქონია.

— ზოგადად, გუნდის თამაშს ყველაზე უფრო ალბათ ნახევარდაცვა განაპირობებს და როგორ ფიქრობ, ასე იქნება ამ შეხვედრაშიც?

— ნახევარმცველი ვარ და ჩემი მხრიდან ცოტა რთულია ამაზე ლაპარაკი. ნახევარდაცვა მართლაც წამყვანი რგოლია, მაგრამ, როცა სერიოზულ წარმატებაზე ფიქრობ, გუნდი ყველა რგოლში ძლიერად უნდა იყოს დაბალანსებული, მეტოქეს გუნდურად უნდა მოუგო და არა რომელიმე რგოლით.

— ასეთ პრინციპულ მატჩებში ფსიქოლოგიაც ბევრს ნიშნავს...

— რა თქმა უნდა, წმინდა სპორტულ კომპონენტებს მონდომება და მობილიზაციაც უნდა დაერთოს.

— და როგორც კაპიტანს, ამ მატჩისთვის ალბათ გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადებაც გმართებს...

— ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურად მომართვა არავის სჭირდება — „დინამოში" ყველას ერთი სული გვაქვს, როდის გავალთ მოედანზე „ამერთან" სათამაშოდ.

— მეორე წრეში „დინამო" ერთი ფორვარდით თამაშობს და ეს ნახევარმცველებს ალბათ უფრო გავალდებულებთ შეტევაში წასვლას. „ამერთან" ვინძლო დიდი ძალებით მოგიწიოთ იერიშებმა, რაც მეტოქეს კონტრშეტევაზე თამაშის საშუალებას მისცემს...

— როცა „დინამო" შეტევაშია, სამი ფორვარდი გვყავს, როცა თავს ვიცავთ — ერთი. ასე ვთამაშობდით მეორე წრეში და ახლა „ამერთან" რა როგორ იქნება, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. კარგი იქნება, თუ სწრაფ გოლს გავიტანთ, რითაც ჩვენ თამაშს უფრო დავალაგებთ.

— მეტოქის ძლიერ მხარეებზე რას იტყოდი?

— თითქმის სამი წელია, „ამერის" ბირთვი ერთად არის. ვფიქრობ, ამ გუნდის პლუსი შეტევაა. „ამერი" კარგი გუნდია, მისი ფეხბურთელები ბოლომდე იბრძვიან.

— კაპიტნის ტვირთი „დინამოში" უფრო მძიმეა, ვიდრე ეს შენთვის „ვიტ ჯორჯიაში" იყო?

— „დინამოში" გადმოვედი თუ არა, მყისვე აქაც კაპიტანი გავხდი.. კაპიტნობას ის მიადვილებს, რომ ფეხბურთელებთან ახლოს ვარ და „დინამოში" კარგი ატმოსფეროა, ერთი ოჯახივით ვართ. „დინამოს" კაპიტნობა სულ სხვაა, რადგან ეს გუნდი ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის, მისი კაპიტანი მოედანზეც თუ მოედნის მიღმაც სულ მობილიზებული უნდა იყოს.

— ნახევარფინალში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდი?

— „ამერს" ოდნავ მეტი შანსი აქვს, რადგან პირველი თამაში მოიგო.

### გიორგი დავითნიძე:

— კარგი და ამავე დროს მძიმე თამაში იქნება, ვფიქრობ, ნახევარფინალში ჩვენ გავალთ, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

— საპასუხო მატჩისთვის „ამერს" რა უპირატესობა აქვს? ფაქტია, პირველ წრესთან შედარებით „დინამო" მნიშვნელოვნად გაძლიერდა...

— „დინამო" ახლა უფრო ძლიერი და შეკრული გუნდია, ვიდრე პირველ წრეში. პირველი შეხვედრის პირველ ტაიმში ჩვენ მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ, მეორეში კი „დინამო" უფრო კარგად გამოიყურებოდა, ბურთს კარგად აკონტროლებდა. ახლა კი მეტოქეს უფრო მეტი სანერვიულო აქვს, რადგან ანგარიში ჩვენ მიგვყავს.

— „ამერი" ალბათ ჩაკეტილ თამაშს შესთავაზებს „დინამოს"...

— ტაქტიკა-სტრატეგიაზე ვერაფერს გეტყვით, ისე კი, ყრუ დაცვაში ნამდვილად არ ჩავჯდებით.

— ცენტრალური მცველი ხარ და თუ „დინამო" ერთი ფორვარდით ითამაშებს, ეს „ამერის" დაცვას საქმეს გაუადვილებს?

— ჩემი ვარაუდით, „დინამო" 4-3-3 სქემას აირჩევს.

— „ამერს" ამ მატჩისთვის ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს?

— სამწუხაროდ, გივი დიდავა და გიზო ჯელაძე დაგვაკლდებიან, ისინი ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დაშავდნენ „ბათუმთან". მათი არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია.

— როგორ ფიქრობ, „დინამოს" და „ამერის" ამ დაპირისპირებაში გადამწყვეტი ფაქტორი რა იქნება?

— ამ თამაშში ყველაფერს ჩავდებთ და ვფიქრობთ, გადამწყვეტი ფაქტორიც ჟინი და თავდადება იქნება. ისიც უნდა ვთქვა, რომ პირველ მატჩში მსაჯს არანაირი შეცდომა არ დაუშვია ჩვენ სასარგებლოდ, რაც ვიდეოფირზეც კარგად ჩანს.

— ახლა „დინამო" მასპინძელია და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გუნდებს ათეულ ათასობით ქომაგი არ ჰყავთ, ეს ფაქტორი უმნიშვნელო მაინც არ უნდა იყოს...

— ჩვენ ახლა ფაქტობრივად ნეიტრალურ სტადიონზე ვთამაშობთ. ისიცაა, რომ „მიხეილ მესხზე" თამაში კარგად გვაქვს დაცდილი — ამ სტადიონზე მოვიგეთ თასის ფინალი და სუპერთასი, ამ სტადიონზე მოგვიგია „დინამოსთანაც". ერთბურთიანი უპირატესობა გვაქვს და ჩვენი მიზანია, ბურთი არ გავუშვათ და ერთი გოლი მაინც გავიტანოთ.

*სხვა მეოთხედფინალური წყვილებიდან „ტორპედო" — „ბათუმი" ალბათ ყველაზე საინტერესო. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში „ტორპედო" სიმპათიურად გამოიყურება და არც „ბათუმია" [illegible] — ბოლო ტურში „ამერს" კლდიანში დააკარგვინა ორი ქულა.*

*„ჩიხურასგან" და „ბორჯომისგან" კი ძალიან დიდი სენსაცია იქნება. შესაბამისად, ზესტაფონში და ბოლნისში რომ მოიგონ, თუმცა, ვინ იცის, ეს ხომ თასის მატჩებია.*

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 6 მარტი. 15.10 საათი. მიხეილ მესხი

**დინამო — ამერი (1:2)**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე
დამკვირვებელი: ნ. კაკულია

ზესტაფონი. 6 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ბორჯომი (2:1)**

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ჯელაძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი
დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია

ბოლნისი. 6 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ჩიხურა (3:2)**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი, გ. დოგრაშვილი; ა. ნონიკაშვილი
დამკვირვებელი: ა. დურსუნიში

ქუთაისი. 6 მარტი. 15 საათი. ტორპედო

**ტორპედო — ბათუმი (0:0)**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. ერქვანია; ჯ. ბუიშვილი
დამკვირვებელი: გ. სილაგავა



# ქალი, ლადო და შეუპოვარი

## სანდრო კობახიძე: პასუხი საუკეთესო თამაში იქნება

თბილისის „დინამოს“ მარცხენაფლანგელმა სანდრო კობახიძემ საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ორ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა, რაც მის პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელისთვის კარგი შედეგია. საერთოდაც, სანდრო ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო მოთამაშეა. „კიდევ ვაპირებ მეკარეების დამწუხრებას. შევეცდები, წინა ტურში „დილასთან“ გატანილი გოლით არ დავკმაყოფილდე“ — აცხადებს კობახიძე

სანდრო კობახიძე ახლახან 20 წლის გახდა. 17 წლისა „თბილისში“ თამაშობდა, მალე კი „დინამოში“ გადავიდა. „დინამომ“ არაერთი მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ კობახიძეს ყველა ენდობოდა.

ქულალთმიანი დინამოელი ამ ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატით კმაყოფილია და უცხოეთისკენ არ ეშურება.

„ვფიქრობ, ჯერ არ ამომიწურია ჩემი შესაძლებლობები საქართველოში. როგორც ფეხბურთელი, უნდა დავიხვეწო. მიმაჩნია, რომ პროფესიონალად ჩამოსაყალიბებლად ფეხბურთელმა დამატებით უნდა ივარჯიშოს. ვცდილობ, ერთ დონეზე არ გავჩერდე“.

სანდროს დებიუტი ეროვნულ ნაკრებში ურუგვაისთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა, სადაც მან მხოლოდ ბოლო ათი წუთი ითამაშა. მართალია, ბურთს რამდენჯერმე შეეხო, მაგრამ იმედი აქვს, რომ მომავალშიც გამოიძახებენ.

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში „ზესტაფონმა“ და „ამერმა“ ქულები დაკარგეს, რაც „დინამოს“ წისქვილზე ასხამს წყალს. დინამოელებმა მეხუთედან მეოთხე ადგილზე აინაცვლეს და ლიდერ „ოლიმპს“ ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

„დაარსებიდან დღემდე „დინამო“ ჩემპიონობისთვის იბრძვის. მართალია, ცხრილში შექმნილი სიტუაციის მიხედვით ბრძოლა გაჭირდება, მაგრამ მეორე წრე წინაა და უიმედოდ ნაღდად არ ვართ“.

დღეს „დინამოს“ პრინციპული შეხვედრა აქვს „ამერთან“ — სათასო მეოთხედფინალის პირველ მატჩში წაგებული 1:2-ის ამოქაჩვას ეცდება. „გულშემატკივარს მოვუწოდებ, მოვიდნენ სტადიონზე, ისინი საუკეთესო შეხვედრას ნახავენ. ნამდვილად არ მინდა, იგივე განმეორდეს, რაც წინა შეხვედრაში მოხდა“.

**სალომე ხარატიშვილი**

# დემეტრაძემ პეჩორი წააგო



**გიორგი დემეტრაძემ** პროცესი წააგო. კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ მისი სარჩელი, რომ უკრაინაში ლეგიონერთა რაოდენობაზე ლიმიტი გაუქმდეს, არ დააკმაყოფილა. გუშინ ამ საქმის მესამე მოსმენა გაიმართა და მოსამართლე ირინა ლიტვინოვამ დემეტრაძეს სარჩელი უსაფუძვლოდ ცნო და საქმის მოსმენა შეწყვიტა. დემეტრაძის ადვოკატმა ანდრეი ფედურმა სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და აპელაციის შეტანას აპირებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზურაბ მენთეშაშვილი ზაპოროჟიეს უახლოვდება

**საქართველოს** ნაკრების შუახაზელი ზურაბ მენთეშაშვილი ჯერაც უგუნდოდაა, თუმც მის საქმეს საშველი უახლოეს დღეებში უნდა დაადგეს — მენთეშაშვილი ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ვარჯიშობს. როგორც შევიტყვეთ, უკრაინული გუნდის მწვრთნელ სერგეი იაშჩენკოს ჩვენებური თვალში მოსდის და მისი გუნდში ჩარიცხვა სურს. თან იაშჩენკო ცდილობს, ეს საკითხი მალე მოაგვარდეს, რადგან ჩემპიონატი უკვე განახლდა და „მეტალურგმა“ ერთი თამაშიც ჩაატარა.

რაც შეეხებათ ზაპოროჟიეში მყოფ დანარჩენ ქართველებს, დავით კვირკველია ჯანზეა, კიევის „დინამოსთან“ ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ირაკლი მოდებაძე კი ჯერაც ინდივიდუალურად ვარჯიშობს. როგორც ირაკლიმ გვითხრა, უკვე ბურთიანად იტვირთება და ერთ კვირაში გუნდს შეუერთდება, თამაში კი ალბათ ორი კვირის შემდეგ შეეძლება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები ლეგებთან გარბიან

## გოჩა ხოჯავა — სამი წლით ანჟიში

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რუსეთის პირველ დივიზიონში ქართველების გუნდი გვეყოლება — ლაპარაკია მახაჩყალის „ანჟიზე“, სადაც გოჩა ხოჯავა, კახა მჟავანაძე და ზურაბ არზიანი არიან.

ხოჯავამ უკვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი — „ანჟის“ ვებგვერდში მითითებულია, რომ გოჩა „როსტოვს“ ეკუთვნოდა. 21 წლის ნიჭიერ გამთამაშებელს „როსტოვის“ ყოფილ პრეზიდენტ ივან სავიდისთან პირადი კონტრაქტი ჰქონდა. გასული წლის მეორე ნახევარი ხოჯავამ რუსთავის „ოლიმპში“ გაატარა, ახლა კი „ანჟიში“ ეცდება საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას.

კახა მჟავანაძეზე ამასწინათაც ვწერდით, მახაჩყალაში ბრუნდებაო. საქართველოს ნაკრების ერთ დროს შეუცვლელი მარჯვენა მცველი ოდესის „ჩერნომორეცმა“ ტრანსფერზე დააყენა და ისიც ახლა „ანჟიში“ ვარჯიშობს, თუმც ჯერ არ ჩარიცხულა დაღესტნურ კლუბში.

„ანჟიშია“ 19 წლის ნახევარმცველი ზურაბ არზიანიც. ის ყაზანის „რუბინიდან“ ჯერ რუსთავის „ოლიმპში“ მივიდა, თუმც ზურაბს ისევ რუსეთისკენ გაუწია გულმა და „ანჟის“ მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძის ქებაც დაიმსახურა. „იგი ორი დღის მოსულია გუნდში, ჯერ შეუჩვეველია და ამის გათვალისწინებით, „ბალტიკასთან“ მშვენივრად ითამაშა“ — თქვა თეთრაძემ.

„ბალტიკასთან“ საკონტროლო შეხვედრაში არზიანმა მეორე ტაიმი ითამაშა, ხოჯავა კი პირველი 45 წუთი იყო მინდორზე.

**ილია ნანობაშვილი**



გოჩა ხოჯავა

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კიევო 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 6 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰამბურგი 0:2 | 90 | | 19 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | შ | ლაუტერნი 1:0 | 1 | შეცვლაზე შევიდა | 20 | 3 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | შ | ბრაუნშვაიგი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 8 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | ს | უნტერჰახინგი 0:2 | 90 | | 5 | 0 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | ს | უნტერჰახინგი 0:2 | 90 | | 5 | 3 | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 2:1 | 90 | 1 გოლი | 21 | 5 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 2:1 | 90 | | 10 | 1 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ბოლტონი 2:1 | 0 | სათადარიგო | 16 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | უტრეხტი 4:0 | 67 | 1 გოლი, შეცვალეს | 23 | 12 | 2 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | ს | ეგალეო 2:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 1 | 7 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | იონიკოსი 2:0 | 0 | | 17 | 0 | 9 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | მ ზაპოროჟიე 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | მ ზაპოროჟიე 3:1 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 35 | შეცვლაზე შევიდა | 7 | 2 | 4 |
| დავით კვირკველია | მ ზაპოროჟიე | ს | დინამო 1:3 | 90 | | 12 | 3 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | მ ზაპოროჟიე | ს | დინამო 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 3 | 12 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | ილიჩევეცი 1:1 | 90 | | 15 | 4 | 5 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | შ | ილიჩევეცი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ დონეცკი | ს | სტალი 0:3 | 0 | | 13 | 2 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | კარპატი 1:1 | 85 | შეცვალეს | 17 | 8 | 10 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | ს | კარპატი 1:1 | 0 | სათადარიგო | 15 | 1 | 10 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | ს | შახტარი 0:3 | 34 | შეცვლაზე შევიდა | 1 | 0 | 15 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | არსენალი 2:0 | 0 | სათადარიგო | 16 | 0 | 9 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | ს | დნიპრო 1:1 | 0 | სათადარიგო | 12 | 0 | 13 |
| **რუსეთი. თასი. მერვედფინალი** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | ს | ზენიტი 0:1 | 70 | შეცვალეს, გაფრთხილება | | | |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | როსტოვი 1:3 | 90 | | | | |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | როსტოვი 1:3 | 0 | | | | |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ტორპედო 1:0 | 90 | | | | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# ჟოზე სერისგან საუზმეს ელის

## მაურინიუს ათასი „?!“ ფერგიუსონს

**ყოველმხრივ** გახურებულა პრემიერლიგა, ფიცხელ თამაშებს მწარესიტყვაობა ენაცვლება და პირიქით.

აი, მაგალითიც: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა, რომლის გუნდიც მდევარ „ჩელსის“ 9 ქულით უსწრებს, ლონდონელთა თავკაც ჟოზე მაურინიუს რამდენიმე დღის წინ შეუთვალა, მსაჯებზე წუწუნსა და წაგების სხვადასხვა მიზეზით გამართლებას თავი გაანებეო, რაზეც გუშინ პასუხი მიიღო.

„რატომ უნდა გავჩუმდე?! — გაიკვირვა „ლურჯების“ პორტუგალიელმა თავკაცმა — ნუთუ მსაჯობაზე საუბრის ნება არ მაქვს?! კი მაგრამ, განა, თავად ფერგიუსონი თავისი კარიერის ბოლო 20 წლის განმავლობაში სწორედ მსაჯებზე არ ლაპარაკობდა?! რა, მასა და ჩემს შორის რაიმე განსხვავებაა?! ნეტავ, რას იტყოდა ალექს ფერგიუსონი, „ჩელსის“ ისეთი პენალტებით რომ მოეგო, როგორითაც მისმა „მანჩესტერმა“ „მიდლსბრო“ და „ტოტენჰემი“ დაამარცხა?! ან თუნდაც, ვინმეს ისეთი პენალტით რომ დავეჯილდოვებინეთ, როგორითაც მისი გუნდი „პორტსმუთთან“ შეხვედრის პირველსავე წუთზე დააჯილდოვეს?!“

მაურინიუს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი მწარესიტყვაობის ალაგ-ალაგ წაქლიბვაც სცადა, თუმცა იყო პუნქტები, სადაც „ჩელსის“ მწვრთნელმა უკან არ დაიხია...

„ასი პროცენტით ვცემ პატივს პირადად მას, მის ფეხბურთელებს, მათ გუნდს და სეზონის განმავლობაში მათ ნათამაშევს, მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. მედლის მეორე მხარე ის პენალტები თუ მეტოქეთა გაძევებებია, რომელთაც მათ სასარგებლოდ პერიოდულად ვხედავთ ხოლმე. სხვა მხრივ კი, ვიმეორებ, მე მათ თამაშს და შრომას დიდ პატივს ვცემ. თავად ჩემპიონები გახლავართ და სხვა ჩემპიონის დაფასება არ გვესწავლება“ — ბრძანა მაურინიუმ.

და როდის ხვდებიან პირისპირ „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“? ეს თამაში აპრილში, ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე“ გაიმართება და პორტუგალიელიც ამთავითვე აფრთხილებს ფერგიუსონს, რომ მისგან დანებებას არ უნდა ელოდოს...

„ჩემს ფეხბურთელებს დღენიადაგ ამას ჩავჩიჩინებ — ისინი არ უნდა დანებდნენ. გახსოვთ შარშანდელი ამბავი, როდესაც ჩვენ სასტუმროში ვისხედით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი „სანდერლენდთან“ შინ ქულები დაკარგა? ასეთი რამ ფეხბურთში ხშირია. დანებება არაფრით შეიძლება, რადგან სრულიად შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს მეორე ადგილზე მყოფს ჩემპიონის ტიტული ლოგინში საუზმესავით მიართვან“.

**ბაბუნა ქედია**

# როგორა ხარ, ბებო?
## ასი კაცი ნოკ ნოკში

**ანტონ ფერდინანდმა** „ვესტ ჰემი“ მოატყუა — ამერიკაში გადაფრინდა, ოთხი ღამე დაშ-ხოშიანად ილოთა და ინგლისში ისე დაბრუნდა... და, რა ტყუილს ამბობენ ასეთ დროს არასაპატიო მიზეზით გამცდენები? რასაკვირველია, ბებია მყავდა ცუდად და მის სანახავად ვიყავიო...



როგორც ხვდებით, ამბავი გასკდა, ფერდინანდის „გიტარისა და ჩქარი ტაშის“ ამბავი გაიგეს და ახლა ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელს საქმე საბოდიშოდ აქვს.

ფერდინანდი: „სულელური შეცდომა მომივიდა. ასეთ რამეს ცხოვრებაში აღარ გავიმეორებ“.

ისე, თუ ჭკუა აქვს, მართლა არ უნდა გაიმეოროს, რადგან, რაც ახლა გააკეთა, მეტისმეტი იყო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველ რიო ფერდინანდის უმცროსმა ძმამ „ნოკ ნოკ“ ბარში დიდი ღრეობა, რომელშიც 100 კაცი მონაწილეობდა, „ვესტ ჰემის“ უმნიშვნელოვანეს თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მოაწყო. როგორც ინგლისელმა ჟურნალისტებმა ერთ-ერთი თვითმხილველისგან გაიგეს, მოქეიფენი „ბოლომდე უბერავდნენ“ და სვამდნენ კოქტეილს სახელწოდებით HIPNOTIQ, რაც არყისა და კონიაკის ნაზავი გახლავთ და 17 პროცენტი ალკოჰოლისგან შედგება.

როდესაც „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ თავისი ფეხბურთელის ამგვარი ქცევის ამბავი შეიტყო, ბუნებრივია, გაცეცხლდა და მათ შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა...

„ვესტ ჰემის“ მავანი თანამშრომელი: „როდესაც ანტონს ჰკითხეს, სად იყო, მან მიუგო, რომ კუნძულ უაითზე ავადმყოფი ბებია მოინახულა. კლუბმა, რომელმაც უკვე იცოდა, სინამდვილეში რაც მოხდა, გადაწყვიტა, ფეხბურთელისთვის სიმართლის თქმის შანსი მიეცა და ერთხელაც ჰკითხა, მაგრამ ფერდინანდი დაჟინებით პასუხობდა ავადმყოფი ბებიის ამბავს“.

საინტერესოა, რომ ღრეობაში მონაწილეობდა „ვესტ ჰემის“ ვიღაც ამერიკელი ფანი, რომელმაც მოყვა: „ქეიფი ანტონმა იკისრა. ჩემი დათვლით, 120 კაცი იყო დაპატიჟებული. სმა მართლაც ბოლომდე მიდიოდა, მაგრამ მერე რომ ვნახე, როგორ ითამაშა ანტონმა „ჩარლტონთან“, მივხვდი, რომ ამ ქეიფმა ნამდვილად არ შეუწყო ხელი. ფერდინანდი იმ შეხვედრაში საშინელება იყო“.

შეგახსენებთ, რომ ანტონ ფერდინანდი შარშან ოქტომბერშიც ამხილეს ტყუილში. მაშინ ის ამტკიცებდა, რომ ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში არ უჩხუბია...

**ბაბუნა ქედია**

## ფული დავაბრუნოთ!

**„პორტსმუთის“** მეკარე დევიდ ჯეიმსის აზრით, ფეხბურთელებმა, რომლებიც ცუდად ითამაშებენ, ფული უნდა შეაგროვონ და გულშემატკივრებს ბილეთების ფასი აუნაზღაურონ. ჯეიმსმა განაცხადა, რომ ამის თაობაზე თანაგუნდელებს „ბლექბერნთან“ 0:3 მარცხის შემდეგ ესაუბრა...

„ძალიან ცუდად ვითამაშეთ. გოლები ჩემი ბრალიც იყო. ამის მერე მომივიდა ეს იდეა, ბიჭებს ვუთხარი და ისინიც დამეთანხმნენ.“

## ნანი მიდის მანჩესტერში

**„გარდიანის“** ცნობით, ამ ზაფხულს „მანჩესტერი“ გუნდის გაძლიერებლად 60 მილიონ გირვანქას დახარჯავს და ალბათ სამ ფეხბურთელს იყიდის. მანჩესტერელთა მთავარი სამიზნე ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველი ნანია და არა ბაიერნელი ოუენ ჰარგრივსი, რომელიც ალბათ მაინც გადავა „იუნაიტედში“.

ნანი „ლიონს“ და „ინტერსაც“ აინტერესებთ, თუმც კრიშტიანუ რონალდუს შეძენის შემდეგ „მანჩესტერს“ „სპორტინგთან“ კარგი საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ნანის კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს და მისი ფასი დაახლოებით 14 მილიონი გირვანქაა. ჰარგრივსის და ნანის გარდა ფერგიუსონს ერთი ფორვარდიც სჭირდება და ამ სამიდან — ეტოო, ტორესი, ჰუნტელაარი — ერთ-ერთის ყიდვას შეეცდება.

## პაპა ტედი სიდნეიში

**„როიტერის“** ინფორმაციით, „ვესტ ჰემის“ ფორკარდმა ტედი შერინგემმა ევებ ავსტრალიაში გააგრძელოს კარიერა.

„ჩაქუჩების“ 41 წლის თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება, ავსტრალიური „სიდნეი“ კი მას ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს. შერინგემმა რჩევა ჰკითხა ყოფილ თანაგუნდელ დუაიტ იორკს, რომელიც თავის დროზე სწორედ „სიდნეიში“ თამაშობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უმადურობო?!
## ხელები შორს ჩვენი თავისგან!



**მოგეხსენებათ,** „ჩელსის“ მილიარდერი მეპატრონე, რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი მიმდინარე სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს, ფაქტობრივად, აღარც ელაპარაკება. ამასთან დაკავშირებით ათას ამბავს ამბობენ, ყველაზე ხშირად კი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აბრამოვიჩს მაურინიუსი აღარ სწამს, მაგრამ აი, მწვრთნელის დასაცავად გუნდის საუკეთესო თავდამსხმელმა კოტდივუარელმა დიდიე დროგბამ აიმაღლა ხმა.

28 წლის თავდამსხმელმა თქვა: „არაფრით შეიძლება, უმადურები ვიყოთ იმ მწვრთნელის, რომელმაც გუნდს ორ წელიწადში ხუთი ჯილდო მოაგებინა. ვფიქრობ, ადამიანისთვის, რომლის უნიჭობის დამტკიცება უნდათ და ცდილობენ, ნებისმიერი წარუმატებლობა მას დააბრალონ, ის მეტისმეტად წარმატებულია. მერედა, „ჩელსის“ ჯერ არაფერი დაუკარგავს. ჩვენ სამ სხვადასხვა შეჯიბრში გამოვდივართ და სამივეგან გვაქვს გამარჯვების შანსი. თუ მაურინიუს გავუშვებთ, პრობლემებს მოვიმკით და მეტი არაფერი... გულწრფელად გეტყვით, მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ცხრა ქულით გვისწრებს, მე მაურინიუს მსგავსად ჯერ კიდევ არ გადამიწურავს იმედი და, ვფიქრობ, რომ ტიტულის მოპოვება შეგვიძლია“.

**ბაბუნა ქედია**

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# რისხვების თამაში დიდების თამაშამდე



„ბარსელონას“ მწვრთნელს ტრადიცია არც ახლა დაურღვევია — ინგლისელ ჟურნალისტთა შეკითხვაზე, რა სქემით აპირებს „ლივერპულთან“ თამაშს, ფრანკ რაიკარდს ეშმაკურად გაეცინა.

ფრანკი თავის სტრატეგიაზე წინასწარ არასოდეს ლაპარაკობს, თუმცა ესპანეთში ამბობენ, ინგლისში 3-4-3 სქემას გამოიყენებსო.

„იმან, რამაც „სარაგოსასთან“ მატჩში გაამართლა, „ლივერპულთან“ რატომ არ გამოდგება?“ — კითხულობენ ბარსელონაში.

მართლაც, ეს ორივე მატჩი ერთმანეთს წაავავს — თუ „სარაგოსასთან“ „ბარსას“ კოპა დელ რეიზე დარჩენა-არდარჩენის ამბავი ირკვეოდა, დღეს კატალონიელებს „ლივერპულთან“ შეხლა ჩემპიონთა ლიგაზე დარჩენისთვის მოუწევთ.

„სარაგოსასთან“ რაიკარდი 3-4-3 სქემას ენდო და „ბარსა“ თასზე დატოვა. შემდეგ იყო პრიმერაში „სევილიასთან“ წაგებული მატჩი, სადაც რაიკარდის თანაშემწის, იოჰან ნეესკენსის განცხადებით, „ბარსამ“ ასევე 3-4-3-ით ითამაშა. თუმცა იმ დღეს „სანჩეს პისხუანზე“ ბარსელონელებმა, ფაქტობრივად, 5 მცველით იბურთავეს.

„სევილიასთან“ ლილიან ტურამი და დეკუ არ იყვნენ — ორივემ დაისვენა და დღეს ძირითადში იქნება.

ტრავმის გამო ვერ ითამაშებს სანტი ესკეროო, ხოლო მწვრთნელის გადაწყვეტილებით, „ენფილდზე“ ტიაგო მოტა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი არ გავლენ.

კატალონიელ გულშემატკივარს „ჯადოსნური სამეულის“ იმედი აქვს. საქმე ისაა, რომ ხანგრძლივი განშორების შემდეგ გუნდის მოიერიშეთა ხაზზე რონალდინიო-ეტოო-მესი ბრუნდებიან. 161 დღე გავიდა, რაც ამათ ერთად არ უთამაშიათ — მძიმე და ხანგრძლივმა ტრავმებმა სამეული 2006 წლის 26 სექტემბერს დაშალა. ჯერ სამუელ ეტოო დაიმტვრა, მერე ლეო მესი და ფრთებჩამოყრილმა რონალდინიომაც ხსივი დაკარგა...

აი, „ლივერპულს“ კი ტრავმირებულები არ ჰყავს, გუნდმა პრემიერლიგის ბოლო მატჩი „მანჩესტერთან“ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით წააგო, მაგრამ რაფაელ ბენიტესი მაინც მხნედაა.

— „მანჩესტერთან“ არ უნდა წაგვეგო, თუმცა ახლა ამის გამო ტირილს არ ვაპირებ, წინ „ბარსასთან“ მატჩი გველის. ამ თამაშს აუცილებლად მოვიგებთ და ლიგის მომდევნო ეტაპზეც ჩვენ გავალთ — ეს ხომ „ენფილდ როუდია“ — განაცხადა ინგლისელთა ესპანელმა მწვრთნელმა დიდი ომის წინ.

მოკლედ, დღეს დიდთა დიდი მატჩია...

**ლადო ხომერიკი**

**ფრანკ რაიკარდი** „ლივერპულთან“ „ენფილდ როუდზე“ „ბარსელონას“ სათავეში რიგით მეორასე მატჩს ჩაატრებს. მას შემდეგ, რაც 2003 წელს „ბარსას“ თავკაცად დანიშნეს, ჰოლანდიელმა ერთადერთი მატჩი გამოტოვა — 2005 წლის 4 დეკემბერს „ვილიარეალთან“ მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ უხელმძღვანელა გუნდს.

ფრანკს მეორე საიუბილეო თარიღიც აქვს — დღეს სტუმრად მეასე მატჩს გამართავს (ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებული მატჩების ჩაუთვლელად).

აქამდე რაიკარდის „ბარსამ“ სტუმრად 99-ჯერ ითამაშა — კატლონიელებმა 52 მოიგეს, 25 წააგეს და 22 ფრედ დაამთავრეს.

და ერთიც: დღევანდელი ჯახი რაიკარდისთვის საკლუბო საერთაშორისო დონეზე რიგით მეორმოცე იქნება.

კატალონიურმა „სპორტმა“ რაიკარდს ინტერვიუსთვის მაშინ მიაკითხა, როცა იგი DVD-ზე წაჩერილ „ლივერპულის“ თამაშებს განიხილავდა...

— არ გაგიკვირდათ, როცა გაიგეთ, რომ ჩატარებული მატჩების რაოდენობის მხრივ „ბარსას“ ყველა დროის თავკაცთაგან ჰოლანდიელები, იოჰან კრუიფი, რინუს მიხელსი, ლუის ვან გაალი და თქვენ ლიდერობთ?

— ამან მართლაც გამაკვირვა. კრუიფის, მიხელსის და ვან გაალის კომპანიაში მოხვედრა ჩემთვის მოულოდნელი იყო.

— „ბარსელონას“ მწვრთნელის რანგში პირველი მატჩი 2003 წლის 30 აგვისტოს „სან მამესზე“ გამართეთ და ის თამაში 1:0 მოიგეთ. მაშინდელი ფრანკ რაიკარდი დღევანდელისგან ძალიან განსხვავდება?

— რასაკვირველია, ოთხწლიანი გამოცდილება თავისას შვრება და მეც ბევრი რამ ვისწავლე — ამ გუნდში მუშაობამ, საოცარმა გარემომ, გულშემატკივრებთან ურთიერთობამ უზარმაზარი გამოცდილება მომცა. როგორც მწვრთნელი, ვთვლი, რომ საკმაოდ კარგად ვიმუშავე და როცა გასულ წლებს

| |
|---|
| **ლივერპული (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) (2:1)** |
| **სავარაუდო შემადგენლობები** |
| **ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, სისოკო, ხაბი ალონსო, მ. გონსალესი, კუიტი, ბელამი |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი |
| **ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, პუიოლი, სილვინიო, ინიესტა, დეკუ, ხავი, რონალდინიო, ეტოო, მესი |
| მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი |
| მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია) |

გადავხედავ, არაფერს ვნანობ, თუმცა იყო რთული ეპიზოდებიც, როცა გუნდის საკეთილდღეოდ კბილი კბილზე უნდა დამეჭირა... გულის სიღრმეში კი ისევ ძველი ფრანკ რაიკრადი ვარ, „ბარსელონას“ მწვრთნელობას პიროვნულად არ შევუცვლივარ.

— ასეთ კლუბში მუშაობას დიდი ნერვული დაძაბულობა მოაქვს...

— აქ მოსვლის პირველივე დღიდან ვიცოდი, რომ მძიმე მუშაობა მომიწევდა. როცა ყველაფერს კარგად ვაკეთებთ, ბედნიერები ვართ — ქომაგებს მახვილი თვალი აქვთ და ფეხბურთელებით თუ მწვრთნელებით უკმაყოფილების გამოხატვა დალხინებულ პერიოდშიც სჩვევიათ.

— ერთხელ უკვე განაცხადეთ, რომ „ბარსაში“ და მის ირგვლივ ყოველთვის დიდი ხმაურია...

— დიახ, კლუბში მუდამ „მაღალი ძაბვაა“. ოღონდ ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს — ესე იგი, „ბარსა“ სიცოცხლისუნარიანია.

— „ბარსელონას“ მწვრთნელის რანგში „ენფილდ როუდზე“ მეორასე მატჩი გაქვთ. რას გვეტყვით ამ შეხვედრაზე?

— თუ ყველაფერს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ უძნელესი მატჩი გველის, რაც გარკვეულწილად, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს — „ბარსას“ არაფერი ექნება დასაკარგი, „ლივერპულმა“ კი „კამპ ნოუზე“ მიღწეული შედეგი უნდა შეინარჩუნოს. პირველი რაუნდი უნდა დავივიწყოთ: რაც მოხდა, მოხდა. ვითამაშებთ რთულ სტადიონზე, რომლის გულშემატკივრებიც „ლივერპულის“ მოსაგებად თავს არ დაზოგავენ. თუმცა, როგორც გითხარით, „ბარსას“ უკვე აღარაფერი აქვს დასაკარგი. ამ მატჩის მთელი დაძაბულობა „ლივერპულის“ ზურგზე გაივლის და არა „ბარსელონაზე“.

— „ბარსას“ „ენფილდზე“ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ელის?

— ჩვენ „ენფილდ როუდზე“ საფეხბურთო მატჩს გავმართავთ. სიტუაციის დრამატიზება კი საჭირო არ არის.

— კი მაგრამ, ეს ხომ უბრალო მატჩი არ არის. ლივერპულურ 90 წუთში „ბარსელონასთვის“ ლიგაზე დარჩენის ამბავი უნდა გაირკვეს. გარდა ამისა, მთელი სეზონის მუშაობაც შეფასდება...

— სავარაუდოდ, ალბათ ხვდებით, რის გაკეთებას შეეცდება „ბარსა“ — როგორც ყოველთვის, დასახული მიზნის მიღწევას სანახაობრივად მისაღები, უმაღლესი დონის ბურთაობით ვაპირებთ. მოდით, სიმართლეს თვალებში შევხედოთ და ვთქვათ, რომ რთული ამოცანის გადაჭრა გვიწევს, ჩვენ ხომ შინ წავაგეთ და ამით „ლივერპულს“ შანსი მივეცით. ოღონდ ლივერპულელები ახლა ჩვენზე უფრო ნერვიულობენ — „ლივერპული“ „ბარსაზე“ მეტად ღელავს.

— ანუ რაიკარდის „ბარსელონა“ თავის ყველაზე რთულ გამოწვევას მიიღებს?

— ასე არ ვფიქრობ. ჩვენ ბევრი რთული ბრძოლა ჩავატარეთ და ეს ერთ-ერთი მათგანი იქნება. მართალია, დღეს ეს მატჩი ყველაზე რთული ჩანს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სიტუაცია შინ წაგებით თავად „ბარსელონამ“ გაირთულა. ახლა კი ვეცდებით, „ლივერპულის“ შეცდომები გამოვიყენოთ.

— თქვენი ფეხბურთელობისას შინ 1:2 წაგებული მატჩი მოგიტრიალებიათ?

— ალბათ კი, მაგრამ ახლა არ მახსენდება.

— ხავის თქმით, „ბარსელონასთვის“ ამ შეხვედრაში იდუმალი და გასაშიფრი არაფერი დარჩა, რადგანაც შეტევის გარდა სხვა არაფერი დაგრჩათ...

— გოლი უნდა გავიტანოთ, მაგრამ ყველაფერი ჭკვიანურად უნდა გავაკეთოთ. მგონი, „ბარსას“ ფეხბურთში საკმარისად არის მეტოქისთვის უსიამოვნო ელემენტები, მაგრამ პირველ მატჩში გამარჯვება მეტოქეს საშუალებას მისცემს, ხელი არ შეცვალოს... ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, მუდმივად შევუტიოთ, მეტოქე კი ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშებს.

— ამბობთ, რომ „ბარსელონას“ დასაკარგი უკვე არაფერი აქვს. ეს თქვენი შეგირდების გასამხნევებლად თქვით? როგორ არ კარგავთ — თუ წააგეთ, ჩემპიონთა ლიგას გამოემშვიდობებით...

— ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგეთ. მე ვთქვი, რომ „ბარსას“ შეტევებში ყოფნა მოუწევს, რაშიც, თუ არ ვცდები, ნამდვილად არ მოვიკოჭლებთ. ასევე ვთქვი, რომ „ბარსას“ ყოველთვის შეუძლია მეტოქეს უსიამოვნო სურპრიზები შესთავაზოს. ჰოდა, როცა „ბარსელონას“ სიურპრიზების ჯერი დგება, მეტოქეები ჩვენზე მეტად ღელავენ, რაც დამატებით სტიმულს გვაძლევს.

— რამდენიმე დღის წინ თასზე „სარაგოსასთან“ თითქმის წაგებული მატჩი შემოატრიალეთ. მაშინ „ბარსამ“ შეტევი 3-4-3 სქემით ითამაშა. თუ ამ სტრატეგიით აპირებთ „ლივერპულთან“ თამაშს, მაშინ სურპრიზის ფაქტორი თქვენს მხარეს ნამდვილად არ იქნება...

— სურპრიზებისთვისაც რჩება ადგილი. წარმატების მიღწევა კი მოთამაშეთა შრომაზე და თავდადებაზე იქნება დამოკიდებული.

— ამას წინათ თქვით, რომ „ბარსაში“ მომავალ სეზონშიც დარჩებით, თუმცა ბევრს ამის არ სჯერა...

— ეს ჩემი პრობლემა არ არის.

— რა უნდა გააკეთოთ, რათა ინჩასები თქვენი დაპირების უტყუარობაში დაარწმუნოთ?

— მეტი რაღა გავაკეთო, რაც სათქმელი იყო, ვთქვი და მუშაობასაც ჩვეულებრივად ვაგრძელებ.

— კმაყოფილი ხართ „ბარსაში“ ყოფნით?

— ახლა არა, რადგან მწვრთნელის ცხოვრებაზე შედეგები ყველაზე მწარედ მოქმედებენ. პრიმერადივიზიონში ბოლო თამაში „სევილიასთან“ წავაგეთ და იმის შანსიც გავუშვით ხელიდან, ჩემპიონობა ცოტა ადრე მოგვეპოვებინა. „სევილიამ“ მოგვიგო და ამის გამო კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები, თუმცა საერთო ჯამში ბედს არ ვუჩივი. ახლა წუწუნის დრო არ არის, მით უმეტეს, რომ „ლივერპულს“ ვხვდებით, რომელიც მენტალობით, ატმოსფეროთი და გულშემატკივართა სიფიცხით „სევილიას“ წააგავს... ეს გუნდები თამაშის სტილითაც ჰგვანან ერთმანეთს და საერთოდ, შაბათის მარცხი „ლივერპულთან“ ბრძოლაში გაკვეთილად უნდა გამოგვადგეს.



გოლი, რომელმაც შეძრა ბარსა

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# ადრიანო და იბრაჰიმოვიჩი ერთად არ დამანახოთ!

**ვალენსია (ესპანეთი) — ინტერი (იტალია) (2:2)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, მარჩენა, ბარახა, ანგულო, სილვა, მორიენტესი, ვილია
**მწვრთნელი:** კიკე სანჩეს ფლორესი

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატერაცი, კორდობა, გროსო, დაკური, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, ბურდისო, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**„ინტერის“** ექიმები ყველაფერს იღონებენ საიმისოდ, რომ დღეს „მესტალიაზე“ ბრაზილიელმა ადრიანომ ითამაშოს. ფორვარდი ოთხშაბათს „უდინეზესთან“ მატჩში (1:1) დაშავდა და ამ უქმეებზე „ლივორნოსთან“ მოგებული (2:1) შეხვედრა ამიტომ გამოტოვა.

თუ ადრიანო ვერ გამოკეთდება, შეტევაში იბრაჰიმოვიჩს და კრესპოს გაამწესებენ, ლუიშ ფიგუ კი გამთამაშებლობას იკისრებს.

— „ვალენსია“ ძალიან გამოცდილია და, რადგან მასპინძელია, მცირე უპირატესობა ექნება — თქვა ფიგუმ — ეს გუნდი მეტოქეს სივრცეს მაქსიმალურად უზღუდავს და პრობლემებს უქმნის, მაგრამ ჩვენ მოგება გვჭირდება და იძულებულები ვართ, შევუტიოთ.

პატრიკ ვიეირა და ესტებან კამბიასო ტრავმირებულნი არიან. ნახევარდაცვის ცენტრს ოლივიე დაკური ჩაიბარებს, აქეთ-იქიდან კი ხავიერ ძანეტი და დეიან სტანკოვიჩი დაეხმარებიან.

„ინტერს“ რამდენიმე ქულაღა უკლია, რათა იტალიის ჩემპიონი გახდეს, ამიტომ გუნდი მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზეა გადართული.

„ჩვენ დიდებულად ვთამაშობთ — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ — 16 ქულით ვუსწრებთ მდევარს და ეს საშუალებას გვაძლევს, ლიგაზე ვიფიქროთ. ამიტომაც ძალიან დასანანი იქნება, თუ მეოთხედფინალში ვერ გავალთ, არადა, საამისო ძალა ნამდვილად შეგვწევს.“

მანჩინის კარგად ახსოვს შარშანდელი „ესპანური სიმწარე“, როცა მეოთხედფინალში მისი გუნდი „ვილიარეალთან“ დამარცხდა — შინ 2:1 ჰქონდა მოგებული და სტუმრად 0:1 წააგო.

„ცხადია, „მესტალიაზე“ უმძიმესი შეხვედრა გველის — ბრძანა მწვრთნელმა — ალბათ ამ სეზონში ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამარჯვება შეგვიძლია“.

„ჩვენ უკეთეს ვითარებაში ვართ, რადგან სტუმრად ორი გავიტანეთ და მაშინ მეტოქეზე კარგადაც ვითამაშეთ — აღნიშნა ვალენსიელთა მწვრთნელმა კიკე ფლორესმა — „ინტერი“ ძლიერია, მაგრამ მუხლები არ გვიკანკალებს. ვიმედოვნებ, რომ ადრიანო ვერ ითამაშებს, რადგან მისი და იბრაჰიმოვიჩის წყვილი ძალიან ბევრ პრობლემას შეგვიქმნის.“

„მათ მოგება სჭირდებათ — თქვა ვალენსიელმა ვისენტემ — ალბათ შემოგვიტევენ, ჩვენ კი კონტრშეტევები საუცხოოდ გამოგვდის. თან ქომაგების მხარდაჭერაც არ დაგვაკლდება და მჯერა, მეოთხედფინალში გავალთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ვალენსიელთა თავკაცი კიკე სანჩეს ფლორესი მილანური ბურთების მარაგით კმაყოფილია

AFP

# ბოდიში, ჩვენ უნდა მოვიგოთ!



ჟოზე მაურინიუ და პირველი მატჩის მეგოლე ანდრეი შევჩენკო

AFP

**ჩელსი (ინგლისი) — პორტუ (პორტუგალია) (1:1)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი:** პ. ჩეხი, ლ. დიარა, ბულარუზი, რ. კარვალიუ, ე. კოული, მაკელელე, ბალაკი, ლამპარდი, ესიენი, დროგბა, შევჩენკო
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**პორტუ:** პელტონი, პეპე, ფუსილე, პ. ასუნსაო, მ. ჩეხი, მეირელეში, ლ. გონსალესი, მორაეში, კვარესმა, ადრიანუ, ლ. ლოპესი
**მწვრთნელი:** ჟესუალდო ფერეირა
**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)

**ინგლისში** ბოლო ცხრა სტუმრობიდან „პორტუმ“ მხოლოდ ერთხელ გაახერხა ფრე, დანარჩენი კი წააგო. იმ ფრით (1:1) გახარებული, „პორტუს“ მაშინდელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ „ოლდ ტრაფორდზე“ ცეკვავდა, რადგან მისმა გუნდმა „მანჩესტერი“ გაიარა მერვედფინალში და შემდეგ ჩემპიონთა თასიც მოიგო.

ორი კვირის წინ „ჩელსი“ მაურინიუს ყოფილ გუნდს პორტუში 1:1 დაუზავდა. სტუმართა მწვრთნელმა თქვა, როგორც პორტუგალიელს, მეამაყება, რომ ჩემი ქვეყნის კლუბმა „ჩელსისნაირ“ ძლიერ კლუბთან ასე კარგად ითამაშაო, მაგრამ იქვე თანამემამულეებს მოუბოდიშა, მეოთხედფინალში ჩვენ გავალთ, რადგან ჩემპიონთა თასის მეორედ მოგებას ვაპირებო.

„ჩელსიმ“ ამ სეზონში პირველი ჯილდო უკვე მოიგო. ლიგის თასის ფინალში „არსენალს“ 2:1 სძლია. პრემიერლიგაში საჩემპიონო შანსი კვლავაც აქვს და ასოციაციის თასსაც შემორჩა, რომლის მეოთხედფინალშიც „ტოტენჰემს“ ხვდება.

„პორტუსთან“ პირველ მატჩში „ჩელსის“ ჯონ ტერი და არიენ რობენი დაუშავდა, რომლებმაც შემდეგ, „არსენალთან“ მაინც ითამაშეს, თუმც ტერის მეტოქის ბუცი მოხვდა სახეში და დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს. კაპიტანი ამ უქმეებზე „პორტსმუთთან“ 2:0 მოგებულ მატჩშიც არ იყო. ჰოლანდიელი მცველი ჰალიდ ბულარუზი გამოკეთდა და ალბათ ის დაიკავებს ტერის ადგილს დაცვის ცენტრში, რაც მიკაელ ესიენს ნახევარდაცვაში თამაშის საშუალებას მისცემს. განელი გაჭირვებისას სწორედ ტერის ცვლიდა.

„პორტუს“ მცველი ჟოზე ბოსინგვა ტრავმის გამო ვერ დაეხმარება გუნდს და მას სლოვაკი მარეკ ჩეხი შეცვლის. არგენტინელი ნახევარმცველი ლუჩო გონსალესიც თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ სამმატჩოდ ალბათ გამოკეთდება ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო სამივე შეხვედრაში თითო გოლი გაიტანა, ასევე ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ამ უქმეებზე „პორტუმ“ „ბრაგას“ 1:0 მოუგო, მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ კი განაცხადა: „ბრაგა“ არაა ისეთი მეტოქე, რომელთანაც ძალების დაზოგვას შევძლებდით, მაგრამ პოზიტიური იყო ის, რომ მაღალ ტემპში ვითამაშეთ და მსგავს ბრძოლას ველით ლონდონშიც“.

„პორტუ“ „ჩელსის“ ბოლოს 2004 წლის სექტემბერში ესტუმრა, როცა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ერთად მოხვდნენ და მაურინიუს გუნდმა 3:1 იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ ლიგის ბოლო რვა საშინაო მატჩიდან შვიდში „ჩელსიმ“ კარი მშრალად შეინახა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლუჩანო სპალეტი: ვერ გამიგია, რატომ?

**ლიონი (საფრანგეთი) — რომა (იტალია) (0:0)**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი:** კუპე, კლერკი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ა. დიარა, ტიაგო, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი, გოვუ
**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი
**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი
**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**ჩემპიონატში** სტუმრად „სენტ ეტიენის“ (3:1) დამარცხებით გალაღებული „ლიონი“ დღეს „რომას“ მასპინძლობს და ზედიზედ მეოთხედ შეეცდება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას.

შეგახსენებთ, რომ რომაული შეხვედრა უგოლოდ და 11 ყვითელი ბარათით დასრულდა.

უკვე 18 საშინაო მატჩია, „ლიონს“ ევროთასზე არ წაუგია და „სტად ჟერლანზე“ ისეთი დიდი გუნდები დაუჩაგრავს, როგორებიც „რეალი“ და „ბაიერნია“. „სენტ ეტიენთან“ შეხვედრაში ჟერარ ულიემ ჟუნინიო დაასვენა და გუნდმა მის გარეშეც კარგად ითამაშა.

„სამი ხომ გავიტანეთ, მაგრამ გაცილებით მეტი მომენტი შევქმენით. ეს გამარჯვება „რომასთან“ მატჩამდე თავდაჯერებულობას შეგვმატებს“ — თქვა ულიემ.

„ლიონმა“ იანვარში ჩემპიონატის სამი თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღო და საფრანგეთის თასიდან „მარსელმა“ გააგდო, მაგრამ თებერვალში გამოსწორდა, სამი მოიგო, ერთ ფრედ დაასრულა და ცხრა გოლი გაიტანა.

„ინტერის“ კარგი თამაშის გადამკიდე, „რომა“ სერია A-ს ჩემპიონობას ალბათ ვეღარ შესწვდება და ამიტომ მთელი გულისყური ჩემპიონთა თასზე აქვს გადატანილი.

„ლიონთან“ პირველი მატჩის მერე „გლადიატორებმა“ შინ „რეჯინას“ 3:0 მოუგეს, შემდეგ კი „კიევოს“ (2:2) და „ასკოლის“ (1:1) სტუმრად დაუზავდნენ. თუმც „ასკოლისთან“ ლუჩანო სპალეტიმ დანიელე დე როსი, სიმონე პეროტა, ამანტინო მანსინი და როდრიგო ტადეი დაასვენა.

„დარწმუნებული ვარ, ლიონში გუნდი კარგად ითამაშებს. ვერაფრით ამიხსნია, რატომ ვართ ასე არასტაბილურები. დიდებს უფრო მონდომებით ვებრძვით, პატარებთან კი იმავეს ვერ ვახერხებთ“ — განაცხადა სპალეტიმ.

ლიონელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ნახევარმცველი ჟერემი ტულალანი და მის ნაცვლად ალიუ დიარა ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რაღა უნდა სტივენ მაკლარენს სტადიონზე? ბექემის ტრავმამ მიუნხენის ბილეთს წყალი შეუყენა



**დევიდ ბექემმა** ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „რეალისა“ და „ხეტაფეს“ შეხვედრის 69-ე წუთზე ფეხი იტკინა, რამაც, შესაძლოა, მისი დიდი იმედგაცრუება გამოიწვიოს. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბოლოხანს ძალიან ცდილობდა ეროვნული გუნდის ახალი ხელმძღვანელობის, კერძოდ კი, სტივენ მაკლარენის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ არ არის გამორიცხული, სავარაუდოდ თვენახევრიანმა ტრავმამ გეგმები აურიოს.

შეხვედრა, რომლის მსვლელობისასაც ბექემმა ფეხი იტკინა, მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩატარდა და 1:1 დამთავრდა. წაქცევის შემდეგ ესპანური გუნდის ინგლისელი ფეხბურთელი ცდილობდა, ნატკენ ფეხის დაყრდნობოდა, მაგრამ ვერ შეძლო. არის ეჭვი, რომ ის მიუნხენში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ბაიერნის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს და ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ზემოხსენებული სტივ მაკლარენი „ბაიერნისა“ და „რეალის“ მატჩს ბექემის შემოწმების თვალსაზრისით ტყუილად დაესწრება.

ბექემი ბოლო დროს ჩინებულად თამაშობდა. იგი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა „ხეტაფესთან“ შეხვედრაშიც და იქმნებოდა საერთო შთაბეჭდილება, რომ მის ნაკრებში დაბრუნებას, წესით, წინ აღარაფერი უნდა დადგომოდა.

საინტერესოა, რომ ბექემის ნაკრებში დაბრუნებას მხარს უჭერდნენ სხვა ინგლისელი ფეხბურთელებიც.

მაგალითად, „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა მაიკლ ოუენმა, რომელსაც მუხლის ტკივილი ბოლომდე თავადაც არ მოუშუშებია, განაცხადა: „დევიდი ყოველთვის უდიდესი კლუბების წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ და ჯილდოს ჯილდოზე იგებდა. რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, მან ამ გუნდისთვის წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ყველამ კარგად იცის მისი შრომისუნარიანობის და ბრწყინვალე საჯარიმოების ამბავი. ეს ხომ ის შემთხვევა არ არის, როდესაც ქვეყანამ არ იცის, რას მიიღებს ბექემის ნაკრებში გამოძახებით. დევიდი იყო და რჩება მსოფლიო კლასის ფეხბურთელად“.

ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი და ცნობილი ტელეწამყვანი გარი ლინეკერი: „ვფიქრობ, მაკლარენი ბრძნულად მოიქცევა, თუ ბექემს ცოტა ხნით მაინც დააბრუნებს ნაკრებში. ნაკრებში დასაბრუნებლად თავად ბექემმაც დიდი სამუშაო გასწია. დღეს, როდესაც ინგლისის ეროვნული გუნდი ფეხზე მყარად ვერ დგას, მას გამოცდილებისა და სტაბილურობის შემოტანა შეეძლო“.

შეგახსენებთ: ინგლისს მარტის ბოლოს ევრო 2008-ის შესარჩევში ისრაელსა და ანდორასთან უმნიშვნელოვანესი თამაშები ელის.

**პაპუნა ძიძია**




AFP

# დანი ალვეშს ბარსასთვის ცეცხლის ფასი უკიდია

„**სევილიას**“ ბრაზილიელის დანიელ ალვეშის ხელში ჩასაგდებად „ბარსელონას“ ჯიბეზე ხელის გვარიანად გაკვრა მოუწევს, რადგან ანდალუზიური კლუბის უფროსობა ალვეშის გაყიდვას 20 მილიონ ევროზე ნაკლებად არ აპირებს.

ეს ამბავი „ბარსას“ სპორტულ დირექტორს ჩიკი ბეგირისტაინს „სევილიას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ განუცხადა.

ანდალუზიელთა თავკაცებმა იციან, რომ მალე დანი ალვეშთან გამოსამშვიდობებელი დღეც მოვა. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტმა დელ ნიდომ და ბრაზილიელმა 2006-07-ის სეზონის დასაწყისში ორმხრივი შეთანხმება გააფორმეს — ალვეში ერთი სეზონით სხვა კლუბში გადასვლაზე უარს იტყოდა, „სევილია“ კი ბრაზილიელს საუკეთესო პირობებს შეუქმნიდა. თუმცა მიმდინარე კამპანიის დასასრულს დანიელ ალვეში აუცილებლად უნდა წავიდეს — შეთანხმებით ასეა გათვალისწინებული.

ოფიციალურად, ალვეშს ანდალუზიაში 2012 წლამდე უწევს დარჩენა, თუმცა ესპანური გაზეთები აცხადებენ, რომ ფეხბურთელი „სანჩეს პისხუანს“ მალე დატოვებს.

თავიდან ბრაზილიელის ყიდვა რაფაელ ბენიტესის „ლივერპულს“ უნდოდა. ინგლისელები შარშან ზაფხულს 15,5 მილიონ ევროს იხდიდნენ, თუმცა სენიორ დელ ნიდომ 18 მილიონი მოითხოვა და კლუბები ველარ შეთანხმდნენ.

ახლა „სევილიასთან“ მოლაპარაკებას „ბარსელონას“ აგენტები აწარმოებენ.

„შეიძლება, მომავალში რომელიმე სხვა კლუბში გადავიდე, მაგრამ „სევილიას“ ყოველთვის პატივს ვცემ, ამ გუნდმა ელიტაში თავის გამოჩენის საშუალება მომცა“ — ამბობს ბრაზილიელი მცველი.

**ლადო ხომერიკი**

# დიდი ფილის საუკეთესონი: რონალდო ბრაზილიაში, რონალდუ მსოფლიოში







**პორტუგალიის** ნაკრების მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ „მილანის“ ახალწვეული რონალდო დღესაც საუკეთესო ბრაზილიელი ფორვარდია.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა „ო გლობოს“ ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელშიც რონალდო ბრაზილიის საუკეთესო მოიერიშედ, ხოლო რონალდინიო 2002 წლის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაახასიათა.

„გაიხსენეთ ლონდონში ჩატარებული ბრაზილია — პორტუგალიის ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც პორტუგალიამ 2:0 გაიმარჯვა. იმ მატჩში რონალდინიოს არ უთამაშია, რაც კარგად გამოვიყენეთ. როცა ბრაზილიას რონალდინიო არ ჰყავს, ამ ნაკრებთან გამარჯვების შანსები ერთიორად იზრდება“ — თქვა სეუ სკოლარიმ.

„დიდ ფილს“ მრავალი კრიტიკოსისგან განსხვავებით, არ სჯერა, რომ მადრიდიდან მილანს გადაბარგებულ რონალდოსთვის სანაკრებო ერა უკვე დასრულებულია: „რონალდომ ნაკრებში თამაშს თავი არ უნდა დაანებოს, ის დღეს ბრაზილიის ყველაზე ძლიერი ფორვარდია“.

სკოლარიმ „ო გლობოსთან“ საუბარში პორტუგალიის ამჟამინდელი საუკეთესო მოთამაშე კრიშტიანუ რონალდუც შეაქო, თუმც გააფრთხილა კიდეც: „კრიშტიანუ რონალდუ უახლოეს წლებში ფიფას ვერსიით, საუკეთესო ფეხბურთელობაზე ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი იქნება. დღეს მსოფლიოს კლუბების თავდასხმაში მას ვერავინ სჯობს, თუმცა კარგი იქნება, თუ რონალდუს სახელ-დიდება თავში არ აუვარდება და ამით საკუთარ თავს ზიანს არ მიაყენებს“ — თქვა „დიდმა ფილმა“.

კაცი, რომელმაც 2002 წელს ბრაზილიის ეროვნულ გუნდს რიგით მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონობა მოაგებინა, სამშობლოში დაბრუნებას არ გამორიცხავს, თუმცა აცხადებს, რომ მანამდე ევროპაში, სულ მცირე, სამი წელი მაინც იმუშავებს.

„რომელიმე ბრაზილიურ გუნდში, ან სულაც ნაკრებში დაბრუნებას არ გამოვრიცხავ. ჯერ რამდენიმე წლით კიდევ ევროპაში დავრჩები, შემდეგ კი ბრაზილიას ჩამოვაკითხავ. მუშაობის შეწყვეტა და დროებითი შესვენებების აღება არ მინდა, ასეთი რამეების არ მჯერა — რაც მიზნად დაისახე, იმას აქტიურად და შეუჩერებლად უნდა მისდიო“ — განაცხადა „ფელიპაომ“.

„ო გლობოს“ შეკითხვაზე, როგორ აფასებს სკოლარი ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად დუნგას მუშაობას, „დიდმა ფილმა“ უპასუხა: „ამბობენ, რომ დუნგას სამწვრთნელო გამოცდილება არ აქვს და ამიტომაც ნაკრებში მისი წარმატებების არ უნდა გვჯეროდეს... მე კი 2006 წლის მუნდიალზე იურგენ კლინსმანის მაგალითს გაგახსენებდით. სამწვრთნელო გამოცდილება არც კლინსმანს ჰქონია, მაგრამ გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა. დუნგასაც და კლინსმანსაც შესაბამისი საფეხბურთო ცოდნა აქვთ, რათა დიდი ჯილდოები მოიგონ“.

**ლადო ხომერიკი**

# გინებისა და შერიგების ამბავი




## საით არის მარჯვენა?

**„რომას“** კაპიტან ფრანჩესკო ტოტისა და „რეჯინას“ მეკარე ანდრეა კამპანიოლოს ლანძღვა-გინება ტელეშერიგებით დამთავრდა, მაგრამ სანამ ამ ფრიად სახალისო ამბავს გიამბობდეთ, თავად ლანძღვა-გინების ინციდენტი გავიხსენოთ. მისი წარმოშობაც ხომ არანაკლებ სახალისო გახლავთ...

საქმე ასე იყო: „რეჯინას“ კარში დაინიშნა პენალტი, რომლის დარტყმა, რასაკვირველია, ტოტიმ იკისრა. ცნობისთვის: მანამდე ამ სეზონში ტოტის ხუთი პენალტი ჰქონდა გაფუჭებული, მაგრამ კაპიტანი არ შეშინდა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მივიდა. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მას მეკარე და ასეთი რამ უთხრა:

„ახლა გეტყვი, რაც მოხდება — შენ ჩემგან მარჯვნივ დაარტყამ და მე აგილებ“.

როგორც შემდეგ თავად ტოტიმ მოყვა, მან იფიქრა, რომ ასეთი ნათქვამით კამპანიოლო სინამდვილეში მისგან მარცხნივ დარტყმისკენ უბიძგებდა და წამოეგო. რომაელმა მეკარისგან მარჯვნივ დაარტყა და გოლკიპერიც ბურთს იქ დახვდა...

მოკლედ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ანდრეა კამპანიოლომ უთხრა.

აი, ამას, გაგრძელება მოჰყვა. შეურაცხყოფილმა ტოტიმ მაშინვე ლანძღვა დაიწყო და თამაშის შემდეგაც გააგრძელა. ვალში არც კამპანიოლო დარჩა და ბარემ აქვე გეტყვით, რომ ბავშვობაში ორივენი „რომას“ ყმაწვილთა გუნდში თამაშობდნენ.

ახლა კი მივადექით ტელევიზიას, კერძოდ კი გადაცემას Striscia la notizia, რომლის ერთ-ერთი წამყვანიც „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი ფელიჩე ჩენტოფანტი გახლავთ.

ცნობისთვის: ჩენტო იტალიურად ასს ნიშნავს. ჰოდა, ფელიჩე ჩენტოფანტიმ კეთილი საქმე და თან კარგი შოუ გააკეთა. ჯერ ანდრეა კამპანიოლოს ეწვია და ჩაწერა, ხოლო შემდეგ ტოტისთანაც იგივე გაიმეორა.

კამპანიოლის მესიჯი ტოტისადმი ასეთი გახლდათ: „გაუმარჯოს, ფრანჩესკო! ვწუხვარ, იმ დღეს ასეთი რამ რომ მოხდა. მე, უბრალოდ, ძალიან მინდოდა პენალტის მოგერიება. ვიცი, გამიგებ და ბოდიშს გიხდი. შენ კარგად იცი, რომ როგორც ფეხბურთელსა და ადამიანს დიდ პატივს გცემ“.

ნანახზე ფრანჩესკო ტოტის კომენტარი ასეთი გახლდათ: „ძალიან გამახარა ამ ჩანაწერის ნახვამ. მე კამპანიოლოსთან ერთად ბავშვობაში ვთამაშობდი. რაღაც ამ ბოლო დროს პენალტებში არ მიმართლებს. ყველა ამბობს, რომ ამიერიდან პენალტები აღარ უნდა დავარტყა და საშინლად ვღიზიანდები. ხომ იცი, ფელიჩე, ჩვენ, რომაელებს შეცდომა გულთან ძალიან ახლოს მიგვაქვს“.

**ბაბუნა ბედია**

# დეპუტატის სიცოცხლე ფეხბურთით დამთავრდა

**საზარელი** მკვლელობა მოხდა ინდოეთში. ქალაქ ჯარკხანდეში მიმდინარე საფეხბურთო მატჩისას ჩაცხრილეს პარლამენტარი სუნილ მახატო.

მახატო სახელისუფლებო პარტია „ჯარკხანდ მუკტი მორჩას“ ლიდერი იყო და საფეხბურთო მატჩებს თითქმის არ აცდენდა.

მისდა საუბედუროდ, საბედისწერო ტყვიამ მშობლიურ ქალაქში მოუსწრაფა სიცოცხლე.

ბიბისი-ს ცნობით, 41 წლის მახატოსთან ერთად ორი პირადი მცველიც მოკვდა.

გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ დეპუტატი ერთ-ერთმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ ჩაცხრილა.

**ბაჩა შალამბერიძე**


სუნილ მახატოს მკვლელობამ დიდი არეულობა გამოიწვია

# მეკარე პისტოლეტით

**მოსკოვის** „სპარტაკის“ მეკარე ალექსეი ზუევმა, რომელიც ტრანსფერზეა, ავტოგასამართ სადგურზე დებოში მოაწყო — შაბათ საღამოს იგი BMW-თი მიადგა სადგურს კასპიისკის ქუჩაზე, სადაც არცთუ ბევრი ხალხი იდგა. ზუევმა ურიგოდ გაძვრომა მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა. მეკარე წინ მდგომი ავტომობილის მძღოლს გადაუხტა და ყვირილი დაუწყო. მან კი მიუგო, რომ უფრო ადრე მივიდა და დათმობას არ აპირებდა.

ზუევმა მანქანიდან... პისტოლეტი აიღო და მეტოქეს ცხვირთან დაუტრიალა.

სადგურის შეშინებულმა პერსონალმა მილიცია გამოიძახა და განგსტერი განყოფილებაში წააბრძანეს, სადაც დილამდე აყურყუტეს. მეკარეს ბრალი წვრილმან ხულიგნობაში ედება, რადგან იარაღი ცეცხლსასროლი არ იყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ლოსკოვის საიდუმლო

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ კაპიტან დმიტრი ლოსკოვს საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონია „მოსკვასთან“, რაც უკვე თვენახევარია, გრძელდება.

მას ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და სიტყვიერი თანხმობაც მიიღეს, ახლა კი „ლოკოსთან“ მოლაპარაკებას აწარმოებენ. „მოსკვა“ ლოსკოვს თვეში 50 ათას დოლარს სთავაზობს, რაც იმაზე ნაკლებია, რასაც „ლოკომოტივში“ იღებს, თუმცა ლოსკოვს რკინიგზელთა მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცთან ურთიერთობა წაუხდა და გუნდში დარჩენა ამიტომ აღარ უნდა. ეგაა, კლუბის პრეზიდენტი იური სიომინი მის დაშოშმინებას მაინც ცდილობს.

## შენი ბრაზილია მიუნხენშია

**მოსკოვის** ცსკა-ს ბრაზილიელ ლეგიონერ დანიელ კარვალიუს სამკურნალოდ სამშობლოში წასვლა სურდა, მაგრამ არ გაუშვეს. კლუბის ექიმების აზრით, სწორედ მათი ბრაზილიელი კოლეგების ბრალია, რომ „სპარტაკთან“ სუპერთასის მატჩის წინ ფეხბურთელს მარცხენა მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და ამის გამო სეზონისწინა შეკრების ნახევარი გაუცდა. შეკრებამდე მას ოპერაცია ბრაზილიაში გაუკეთეს და არცთუ კარგად, ხრტილი დაუზიანეს, რამაც შემდგომში ტკივილი გამოიწვია.

ცსკა-მ კარვალიუ მიუნხენში გააგზავნა, სადაც დიაგნოზს დაუსვამენ და გაირკვევა, სჭირდება თუ არა ხელახალი ქირურგიული ჩარევა.

## ალკალა დასწრებაზეა

**ესპანურმა** „ასმა“ გაარკვია, რომ „ლივერპულმა“ მადრიდის „რეალს“ დაასწრო და „მალაგას“ ცენტრალური მცველი პედრო ალკალა დაიბევა.

მადრიდელები მთელი სეზონის განმავლობაში აკვირდებოდნენ მას, მაგრამ ტრანსფერამდე საქმე არ მისულა, „ლივერპულმა“ კი იყოჩაღა და ალკალა დაისაკუთრა, ისევე, როგორც ერთი თვის წინ ფრანსისკო დიურანი, რომელიც აგრეთვე „მალაგას“ ნახევარმცველია.

ორივე ფეხბურთელი 18 წლისაა.

## შეხვედრა სნეიდერისთვის

**„ბარსელონამ“**, შესაძლოა, „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი უესლი სნეიდერი იყიდოს, ვინც 12 მილიონ ევროდაა შეფასებული — წერს „დიარიოსპორტი“.

კატალონიელებმა უკვე ოფიციალურად გაუგზავნეს ქაღალდები ამსტერდამელებს. „ბარსას“ სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი ამ კვირაში ჰოლანდიაში ჩასვლას და სნეიდერის აგენტთან შეხვედრას აპირებს.

## ჩიხში გომესი გამოჩნდა

**„ტუტოსპორტის“** ვერსიით, „მილანი“ დიდას შემცვლელის ძიებაში პსვ-ს მეკარე ეურელიო გომესს მიადგა, რადგან „იუვენტუსთან“ ჯანლუიჯი ბუფონის თაობაზე მოლაპარაკება ჩიხში შევიდა.

ბრაზილიის ნაკრებისა და პსვ-ს გოლკიპერის შეძენა ლონდონის „არსენალსაც“ სურს.

## ჯერარდს ორნი უთვალთვალებენ

**მილანის** „ინტერს“ ძალიან უნდა ლივერპულელი სტივენ ჯერარდის გადაბირება — ამტკიცებს „კორიერე დელო სპორტი“. „ინტერის“ დირექტორები მარკო ბრანკა და გაბრიელე ორიალი თურმე თებერვალში რამდენჯერმე დაესწრნენ „ლივერპულის“ თამაშს და ჯერარდი საქმეში ნახეს.

გარდა ამისა, „შავ-ლურჯები“ მოლაპარაკებას აწარმოებს „რეალთან“ მამადუ დიარასა და „ბარსელონასთან“ ხავიერ სავიოლას თაობაზე.

## საუბარი ლუკაზე

**„სპორტალის“** ცნობით, მიუნხენის „ბაიერნმა“ „ფიორენტინას“ ლუკა ტონზე ჩამოუგდო სიტყვა. კლუბებს შორის უკვე მიმდინარეობს საუბარი ამ ტრანსფერზე.

29 წლის ფორვარდის ფასი 25 მილიონი ევროა. მისით „იუვე“ და „ინტერიც“ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ კონტრაქტის თანახმად, რომელიც ტონის 2009 წელს უმთავრდება, იტალიურ კლუბში გადასვლის უფლება არა აქვს.

## ივანაუსკასის ციხის ზოლი

**„ჰართსის“** ყოფილ მწვრთნელ ვალდას ივანაუსკასს, რომელიც წინა კვირას მოხსნეს, გადასახადების დამალვის გამო ციხე ემუქრება. გაზეთ „ლიეტუვას რიტასის“ ინფორმაციით, ივანაუსკასს გერმანელმა ბანკირმა ჰენინგ ზოლმა უჩივლა და, როგორც გაირკვა, სასამართლო მოიგო.

მწვრთნელს 24 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამთვიანი პატიმრობა ელის. ზოლმა ივანაუსკასის საბანკო ანგარიშების გაყინვა მოითხოვა, ბრალდებული კი ყველაფერს უარყოფს და პროვოკაციას უწოდებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### მექსიკა

კლაუსურა. VIII ტური

პაჩუკა — ამერიკა 1:0

### არგენტინა

კლაუსურა. IV ტური

არგ. ხუნიორსი — რივერ პლეიტი 2:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

### ინგლისი. ჩემპიონატი

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 2 | ჰალი-იფსვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 23:45 | 3 | ნორვიჩი-დერბი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 4 | უენსდი-პლიმუთი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |

### ინგლისი. I ლიგა

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 17 | ბლეკპული-ბორნმუთი | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:45 | 18 | ნოტინგემი-დონკასტერი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| 23:45 | 19 | პორტ ვეილი-ჩელტენემი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 20 | ჩესტერფილდი-ბრისტოლი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |

### ინგლისი. II ლიგა

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 33 | შრიუსბერი-რექსემი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 568 | აკრინგტონი-როვერსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 569 | მენსფილდი-ჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |

### ინგლისი. კონფერენსი

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 46 | ალტრინჰემი-კემბრიჯი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:45 | 47 | ქროული-ბარტონი | 2.30 | 3.40 | 2.65 | 1.37 | 1.23 | 1.48 |
| 23:45 | 48 | დაგ ენდ რედ-სტრენჯერსი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 23:45 | 49 | ექსეტერი-გრეისი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 23:45 | 50 | გრეივსენდი-ვეიმუთი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 23:45 | 51 | კიდერმინსტერი-ჰალიფაქსი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 23:45 | 52 | რაშდენი -მორიკომბი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 53 | საუთპორტი-ოქსფორდი | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 23:45 | 54 | ტემუორთი-ალდერშოტი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 55 | უოკინგი-სტივენეიჯი | 2.65 | 3.30 | 2.35 | 1.46 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 56 | იორკი-ნორთვიჩი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 570 | ქუინი-სტ.ჯონსტონი | 2.65 | 3.40 | 2.25 | 1.48 | 1.21 | 1.35 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 571 | კოუდენბითი-სტირლინგი | 3.70 | 3.50 | 1.80 | 1.79 | 1.21 | 1.18 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 572 | ისტ სტირ.-სტენჰაუზმური | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 573 | არბროთი-ელგინი | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| 23:45 | 574 | ბერიკი-დამბარტონი | 1.80 | 3.50 | 3.70 | 1.18 | 1.21 | 1.79 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

11 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 20:00 | 191 | ბარსელონა-რეალი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 192 | ბეტისი-სარაგოსა | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 20:00 | 193 | სელტა-ბილბაო | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 20:00 | 194 | ხეტაფე-უელვა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 195 | ტარაგონა-სევილია | 5.10 | 3.50 | 1.60 | 2.07 | 1.21 | 1.09 |
| 20:00 | 197 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 20:00 | 198 | ოსასუნა-ვალენსია | 3.10 | 2.90 | 2.30 | 1.49 | 1.32 | 1.28 |
| 20:00 | 199 | რასინგი-ესპანიოლი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 20:00 | 200 | სოსიედადი-მალიორკა | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |

### ჩემპიონთა ლიგა

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 390 | ლიონი-რომა | 1.80 | 3.20 | 4.70 | 1.15 | 1.30 | 1.90 |
| 23:45 | 391 | ლივერპული-ბარსელონა | 2.80 | 3.30 | 2.35 | 1.51 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 392 | ვალენსია-ინტერი | 2.40 | 3.10 | 2.90 | 1.35 | 1.31 | 1.49 |
| 23:45 | 393 | ჩელსი-პორტუ | 1.40 | 3.80 | 9.00 | 1.02 | 1.21 | 2.67 |
| | | 7 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 394 | მილანი-სელტიკი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 23:45 | 395 | ბაიერნი-რეალი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 396 | მანჩესტერი-ლილი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 23:45 | 397 | არსენალი-პსჟ | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |

### ჰოკეი. ფინეთი

6 მარტი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 509 | კალპა-ტაპარა | 3.10 | 4.20 | 1.70 | 1.78 | 1.09 | 1.21 |
| 20:30 | 510 | სეიპა-იუვესკიულე | 1.85 | 4.20 | 2.60 | 1.28 | 1.08 | 1.60 |
| 20:30 | 511 | ლუკო-კერპეტი | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 20:30 | 512 | ესპოო-ესეტი | 1.35 | 4.50 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.25 |
| 20:30 | 513 | პელიკანსი-ტურკუ | 2.45 | 4.20 | 2.00 | 1.54 | 1.10 | 1.35 |
| 20:30 | 514 | ილვესი-ჰელსინკი | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 20:30 | 515 | იოკერიტი-ჰაამეენლინა | 1.90 | 4.10 | 2.60 | 1.29 | 1.09 | 1.59 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10390 | ლიონი-რომა | 2.30 | 2.10 | 4.50 | 1.09 | 1.52 | 1.43 |
| 10391 | ლივერპული-ბარსელონა | 3.20 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10392 | ვალენსია-ინტერი | 2.90 | 2.00 | 3.25 | 1.18 | 1.53 | 1.23 |
| 10393 | ჩელსი-პორტუ | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |
| 10394 | მილანი-სელტიკი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10395 | ბაიერნი-რეალი | 2.55 | 2.00 | 4.05 | 1.12 | 1.56 | 1.33 |
| 10396 | მანჩესტერი-ლილი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10397 | არსენალი-პსჟ | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11390 | ლიონი-რომა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11391 | ლივერპული-ბარსელონა | 4.20 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11392 | ვალენსია-ინტერი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11393 | ჩელსი-პორტუ | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11394 | მილანი-სელტიკი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11395 | ბაიერნი-რეალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11396 | მანჩესტერი-ლილი | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 210.00 | 10.00 | 6.00 |
| 11397 | არსენალი-პსჟ | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18390 | ლიონი-რომა | 1.40 | 2.65 |
| 18391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.30 | 3.20 |
| 18392 | ვალენსია-ინტერი | 1.50 | 2.35 |
| 18393 | ჩელსი-პორტუ | 1.10 | 5.70 |
| 18394 | მილანი-სელტიკი | 1.18 | 4.30 |
| 18395 | ბაიერნი-რეალი | 1.95 | 1.70 |
| 18396 | მანჩესტერი-ლილი | 1.02 | 10.00 |
| 18397 | არსენალი-პსჟ | 1.70 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15390 | ლიონი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ლივერპული-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15392 | ვალენსია-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15393 | ჩელსი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15394 | მილანი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15395 | ბაიერნი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | მანჩესტერი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | არსენალი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16390 | ლიონი-რომა | 1.30 | 3.10 |
| 16391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.95 | 1.65 |
| 16392 | ვალენსია-ინტერი | 1.65 | 2.00 |
| 16393 | ჩელსი-პორტუ | 1.05 | 5.00 |
| 16394 | მილანი-სელტიკი | 1.05 | 5.00 |
| 16395 | ბაიერნი-რეალი | 1.45 | 2.30 |
| 16396 | მანჩესტერი-ლილი | 1.05 | 5.00 |
| 16397 | არსენალი-პსვ | 1.12 | 4.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17390 | ლიონი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17392 | ვალენსია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17393 | ჩელსი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17394 | მილანი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17395 | ბაიერნი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17396 | მანჩესტერი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | არსენალი-პსვ | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12390 | ლიონი-რომა | 1.60 | 2.00 |
| 12391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12392 | ვალენსია-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12393 | ჩელსი-პორტუ | 1.60 | 2.00 |
| 12394 | მილანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 12395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12396 | მანჩესტერი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12397 | არსენალი-პსვ | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13390 | ლიონი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13392 | ვალენსია-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13393 | ჩელსი-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13394 | მილანი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13396 | მანჩესტერი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13397 | არსენალი-პსვ | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14390 | ლიონი-რომა | 1.60 | 2.30 |
| 14391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 14392 | ვალენსია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14393 | ჩელსი-პორტუ | 1.08 | 2.90 |
| 14394 | მილანი-სელტიკი | 1.08 | 2.90 |
| 14395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 2.20 |
| 14396 | მანჩესტერი-ლილი | 1.08 | 2.90 |
| 14397 | არსენალი-პსვ | 1.20 | 2.60 |

მშვილდოსნობა




არტემ სანიშვილი და თენგიზ ტერუნაშვილი

# ქართული ისრის გზა

## დიდუბე-ლაიპციგი-პეკინი

**დიდუბის** მძლეოსნობის დარბაზში მშვილდოსანთა საქართველოს თასის გათამაშება იწყება. გუშინ სპორტის დეპარტამენტში წინასატურნირო პრესკონფერენცია გაიმართა. მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ ტერუნაშვილმა და გენერალურმა მდივანმა არტემ სანიშვილმა მომავალ შეჯიბრსა და სანაკრებო გეგმებზე ისაუბრეს. პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების დიდი ნაწილი ხომ წლეულს უნდა გათამაშდეს.

**თენგიზ ტერუნაშვილი:** „გადავწყვიტეთ, საქართველოს თასის გათამაშება სამ ეტაპად ჩავატაროთ. პირველი დიდუბის მძლეოსნობის დარბაზში 6 მარტს დაიწყება და 8-ში ფინალები შედგება. უკვე ცნობილია, რომ მასში მონაწილეობას 19 საუკეთესო მშვილდოსანი მიიღებს. მეორე ეტაპს აპრილში ქუთაისი უმასპინძლებს, მესამე კი ისევ თბილისში ოქტომბერში ჩატარდება და აბსოლუტური ჩემპიონები თბილისობის დღეებში გამოვლინდებიან. წლეულს სერიოზული სეზონი გველის და სპორტის დეპარტამენტმა დაფინანსება მოგვიმატა. მართალია, ოლიმპიურმა ფონდმა გადაწყვიტა, მხოლოდ პრიორიტეტული სახეობები დააფინანსოს და ჩვენ ამ სიაში ვერ მოვხვდით, მაგრამ თუ ლიცენზიებს მოვიპოვებთ, მაშინ აუცილებლად დაგვეხმარებიან. მთავარი სალიცენზიო ტურნირი კი ზაფხულში ლაიპციგში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატია“.

**არტემ სანიშვილი:** „ლაიპციგში პეკინის 44 ლიცენზია გათამაშდება. ვეცდებით, გუნდური ლიცენზიაც გავინაღდოთ, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატი ოლიმპიადაზე მოხვედრის უკანასკნელი შანსი არ არის. საგზურები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზეც გაიცემა. უახლოესი ტურნირი კი ნაკრებს ერთ თვეში ელის. 5 აპრილიდან იტალიურ ვარეზეში მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი გაიმართება და მასზე ჩვენი გუნდიც გამოვა“.

**ოთარ მალლაკელიძე**

ჭიდაობა

# ბათუმში ვერნახული ტაშკენტში ნახეს

**96 კილოგრამი** წონითი კატეგორიის ორი მსოფლიოს ჩემპიონის, ლუკა კურტანიძისა და გიორგი გოგშელიძის რკინას წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატზე ლამის მთელი საჭიდაო სამყარო რომ ამაოდ ელოდა, ძველი ამბავია. იანვარში ბათუმში ვერშემდგარი ბრძოლა ამ უქმეებზე ტაშკენტში გაიმართა. 1-4 მარტს უზბეკეთის დედაქალაქმა ოქროს დიდ პრიზს უმასპინძლა და 96 კილოგრამის ფინალში ორი ჩვენებური გავიდა. ოქროს შეხვედრა კი გოგშელიძემ მოიგო. ამ ოქრო-ვერცხლის გარდა საქართველოს თავისუფალი სტილის ნაკრებს თბილისში ორი მედალიც მოაქვს — რევაზ მინდორაშვილის (84კგ) ვერცხლი და ლექსო მოდებაძის (120კგ) ბრინჯაო. მინდორაშვილმა გადამწყვეტი ბრძოლა სომხეთის სახელით მოჭიდავე გენადი ლალიევთან წააგო, ხოლო მოდებაძემ ფინალში გადასასვლელი — უზბეკ არტურ ტაიმაზოვთან.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციისა და ტურნირის ორგანიზატორების არაოპერატიული მუშაობის გამო კვირას დასრულებული შეჯიბრის შედეგები ინტერნეტში ჯერაც არ გავრცელებულა. ქართველთა ამბები შემთხვევით შევიტყვეთ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავასგან.



გიორგი გოგშელიძე

თავისუფალი სტილის მიმდევრებამდე ტაშკენტური ხალიჩები ბერძენ-რომაელებს დაეთმოთ. ჩვენებურები, ცხადია, იქაც გამოვიდნენ და კვარცხლბეკსაც უწიეს, ოღონდ ეს მხოლოდ ორმა შეძლო — რევაზ ლაშხმა (60კგ) და შალვა გადაბაძემ (84კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. თუმცა აქვე ისიც ვთქვათ, რომ თავისუფლებისგან განსხვავებით, კლასიკოსები უზბეკეთში გადახალისებული შემადგენლობით ჩავიდნენ.

თავისუფალთა მეორე შემადგენლობამ კი გასულ უიქენდზე თურქეთი მოიარა. სტამბოლში ჩატარებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მედალს მხოლოდ გიორგი მარსაგიშვილი (74კგ) შესწვდა. იგი მესამე ადგილზე გავიდა.

**ოთარ მალლაკელიძე**

ჭადრაკი

### მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

**X ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 6,5 |
| 2. | მაგნუს კარლსენი | 5,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 5,5 |
| 4. | ლევონ არონიანი | 5,0 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 5,0 |
| 6. | ვესელინ ტოპალოვი | 4,5 |
| 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 4,0 |
| 8. | პეტერ ლეკო | 4,0 |

# ვეფხვმა ვიკინგი მეორედ შეჭამა

**ვიშვანათან ანანდმა** მაგნუს კარლსენს სუპერტურნირზე მეორედ მოუგო და ცხრილის თავშიც ერთპიროვნულად გაბატონდა. ინდოელ ვეფხვს პატარა ვიკინგის დასამარცხებლად 38 სვლა ეყო და ახლა მას მთელი ერთი ქულით უსწრებს.

ანანდმა შეხვედრა ხელმწიფის გამბიტით დაიწყო, კუ მარცხნივ გამოიყვანა და მე-5 სვლაზე როქი გააკეთა. ინდუსმა ლაზიერის ფლანგიდან პაიკები დაძრა წინ, გვერდებიდან დამხმარედ მსუბუქი ფიგურები ამოუყენა და თამაში გახსნა. მსუბუქ ძალას მალე მძიმეებიც მიეშველნენ, შავების რაზმს სულ ბდღვირი ადინეს და მსუყე ქულა დასცინცლა.

კვლავ წარუმატებლად თამაშობს ფიდეს რეიტინგის ლიდერი ვესელინ ტოპალოვი. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ამჯერად ბოლოადგილოსან ლეკოს გაუყო ქულა და მისთვის შეუფერებელ მე-6 ადგილზე დარჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**



ქართული ლეგიონი

# ვატომ ჰერბერტს თავი შეახსენა

## მარკოიშვილმა წითლები გაასავა

**გასულ კვირაში** ევროლიგის საიტზე საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „პო ორტეზის" მწვრთნელ გორდონ ჰერბერტს ფანებმა კითხვები დაუსვეს. მისტერ გორდონს, ცხადია, ჩვენს ეროვნულ გუნდზეც დაეკითხნენ, მან კი საქართველოს ძალიან ახალგაზრდა შემადგენლობა ჰყავსო, განაცხადა. ჰერბერტმა იქვე განმარტა, რომ ნაკრების ყველაზე მხცოვანი წევრი 26 წლის ვლადიმერ ბოისააო. ძნლად სავარაუდოა, მას ნაკრების 30 წლის კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი გამორჩენოდა, მით უფრო, რომ ვატო საფრანგეთშია და ამ სეზონში ჰერბერტის გუნდის წინააღმდეგაც უთამაშია.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ნახევართვიანი ტრავმიანობის შემდეგ გუშინწინ ვატო მოედანს დაუბრუნდა და „დიჟონს" „გრაველინის" ძლევაში დიდად დაეხმარა — 27 წუთი 14 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. ნაცვლიშვილი აქამდეც ბარაქიანად ირჯებოდა და საერთოდ, ის „დიჟონის" ერთ-ერთი ლიდერია. აქედან გამომდინარე, ცოტა უცნაურია ჰერბერტის გულმავიწყობა.

თუ ნაცვლიშვილი არ ახსოვს, ჰერბერტი ვერაფრით დაივიწყებს მანუჩარ მარკოიშვილს, რომელიც საუკეთესო სეზონს ატარებს. მანუმ „ოლიმპიას" ხუთეულში ფეხი მყარად გაიდგა და თითქმის ყოველ მატჩში საუკეთესოა. ასე იყო ადრიატიკის ლიგის გასულ ტურშიც, როცა „ოლიმპიამ" შინ მძლავრ „ცრვენა ზვეზდას" მოუგო. მარკოიშვილმა ფინელ ტეემუ რანიკოსთან ერთად ბელგრადელებს მოგება არ დაანება და საბოლოოდ დაძაბულ ბრძოლაში, 88:82 დაამარცხა.

მანუმ 36 წუთში 25 ქულა მოინაგრა. გამოსარჩევია მისი საჯარიმოს ხაზიდან ნაჩვენები შედეგი — 11-დან 11 ჩააგდო. ამას მანუჩარმა 6 მოხსნა და 3 პასიც მიაბა და „ოლიმპიას" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

იტალიაში ჩვენი ლეგიონერთა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ვლადიმერ ბოისას „სიენამ" ნეაპოლში ტაირონ ელისის „ნაპოლი" დაამარცხა და სერია A-ს ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. სამწუხაროისაა, რომ სიენელთა გამარჯვებაში მოკრძალებული წილი უდევს თავად ბოისას. მან 9 წუთი დაყო მოედანზე და ვერც ერთი სტატიკური მაჩვენებელი ვერ „დაითვალა".

ელისმა კი 30 წუთში 13 ქულა მოაგროვა და 5 პასიც ჩამოურიგა თავის [illegible], მაგრამ „ნაპოლი" საბოლოოდ მაინც წააგო.

[illegible] ცნობა მოვიდა — გასულ კვირაში ზაზა ფაჩულიამ დირკ ნოვიცკის „დალასთან" სეზონის რეკორდი, 24 ქულა გამოაცხო, შაბათს „ნიუ იორკის" წინააღმდეგ კი კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ხუთეულში ითამაშა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ცვერნა ზვეზდა | შ | 88:82 | 36 | 25 | 6 | 3 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ნაპოლი | ს | 90:88 | 9 | 0 | 0 | 0 |
| | | ულების თასი | უნიკსი | ს. | 53:83 | 21 | 4 | 4 | 1 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | გრაველინი | შ | 88:83 | 27 | 14 | 7 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | ალიკანტე | შ | 90:81 | 5 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ბრუესა | შ | 86:79 | 13 | 3 | 3 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ბალტიის ლიგა | საკალაი | ს | 82:90 | 7 | 2 | 5 | 1 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ასკ-რიგა | ლატვის უმაღლესი ლიგა | ლიეპაია | ს | 73:91 | 21 | 9 | 5 | 2 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | დრუსკინინკაი | შ | 89:84 | 14 | 4 | 3 | 0 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | სიენა | შ | 88:90 | 30 | 13 | 1 | 5 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ნიუ იორკი | შ | 100:104 | 40 | 12 | 9 | 1 |
| | | | ვაშინგტონი | ს | 92:93 | 22 | 9 | 7 | 2 |
| | | | ნიუ ორლეანი | ს | 100:107 | 30 | 13 | 3 | 1 |
| | | | დალასი | ს | 87:110 | 33 | 24 | 9 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური


ვახტანგ ნაცვლიშვილი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მეზობელო კარისაო, ჩამოგიდებ კალათსაო


AFP მილუოკიდან

მილუოკელმა რუბენ პატერსონმა ჩიკაგოელი ბენ ვოლესი გახედნა

4 მარტი

**მილუოკი 121:126 ჩიკაგო**
*ძირითადი დრო 111:111*
მილუოკი: რედი (52), პატერსონი (17)
ჩიკაგო: გორდონი (48), დენგი (27)

**ფინიქსი 99:94 ლეიკერსი**
ფინიქსი: ნეში (23 ქულა, 10 პასი)
ლეიკერსი: ბრაიანტი (31), კუკი (22)

**ვაშინგტონი 107:106 გ. სტეიტი**
ვაშინგტონი: არენასი (32), ბატლერი (20)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (28 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ჰარინგტონი (25)

**ბოსტონი 124:117 მინესოტა**
*ძირითადი დრო 93:93*
ბოსტონი: ვესტი (31 ქულა, 10 პასი), პირსი (27), გომესი (21 ქულა, 17 მოხსნა), ჯეფერსონი (20 ქულა, 14 მოხსნა)
მინესოტა: დევისი (35), გარნეტი (33 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი), ჰადსონი (26)

**ნიუ ორლეანი 94:108 იუტა**
ნიუ ორლეანი: ჩანდლერი (20 ქულა, 19 მოხსნა), პოლი (14 ქულა, 13 პასი)
იუტა: ოქური (28), უილიამსი (20), ბუზერი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**სიეტლი 96:89 შარლოტი**
სიეტლი: ალენი (34), ლუისი (28)
შარლოტი: ვოლესი (19), მორისონი (17)

**ფილადელფია 99:86 ნიუ ჯერსი**
ფილადელფია: იგუდალა (21), გრინი (20)
ნიუ ჯერსი: ნახბარი (21), კიდი (11 ქულა, 14 მოხსნა, 14 პასი)

**კვირა დღე** ოვერტაიმებისა გამოდგა. შვიდი წყვილიდან ორი იმდენად დაძაბულ ბრძოლაში შეჰყვა ერთმანეთს, რომ გამარჯვებულთა გასარკვევად „ზედმეტი" 5-5 წუთი თამაში გახდა საჭირო.

„მილუოკიმ" და „ჩიკაგომ" ოთხი მეოთხედი 111:111 ანგარიშზე დაასრულეს და მერე ოვერტაიმში მოუხდათ მჯობნის გასარკვევად ბრძოლა. არადა, დიდი შანსი იყო, შეხვედრა 48 წუთით შემოფარგლულიყო, რაკილა მასპინძელი „მილუოკი" ერთ დიდ ტბისნაპირელ მეზობელ „ჩიკაგოს" ბოლო მეოთხედში 18 ქულით ჯაბნიდა. ამ გუნდების ბომბარდირებმა მაიკლ რედმა და ბენ გორდონმა ერთმანეთს ფიცხელ დუელი გაუმართეს. ორივემ თითქმის ერთნაირად წარმატებით ბომბა მეორის გუნდის კალათი და ორივემ თამაშში 32-32 სროლიდან 18-18 ჩააგდო. რედს ოდნავ მეტი სამქულიანის და საჯარიმოს გამო 52 ქულა მოუგროვდა და გორდონს ცოტათი აჯობა, მაგრამ გამარჯვება ამ უკანასკნელის გუნდს ხვდა.

გორდონმა პირად სარეკორდო 48 ქულიდან 20 ბოლო მეოთხედში მოიხვეჭა და 18 ქულით ჩამორჩენილი თავისი „ჩიკაგო" ბოლო წუთებში დააწია „მილუოკის". ოვერტაიმში კი სულიერად გატეხილმა მასპინძლებმა ველარაფერი გააწყეს ბრძოლის იმპტაზე მოსულ სტუმრებთან.

ხომ ასეთი ჯახი გადავიტანეთ, მაგრამ ახლაც ენერგიის ისეთ მოზღვავებას ვგრძნობ, თუ გინდათ, კიდევ მთელი დღე მათამაშეთო — გულზე მჯილს იცემდა გორდონი. ერთმა მისმა თანაგუნდელმა კი სინანულითაც ჩაიქნია თავი — აფსუს, ეგ მხოლოდ 191 სანტიმეტრი სიმაღლისაა, 198 რომ იყოს, პირწავარდნილი მაიკლ ჯორდანი იქნებოდა, მოედანზე ისეთ მაგარ რამეებს აკეთებსო.

ძირითად დროს გასცდა უხეირო „ბოსტონისა" და არცთუ ხეირიანი „მინესოტას" მატჩიც. მათ შორის შეხვედრებში ინტრიგამ ჯერ კიდევ მაშინ ჩაიბუდა, როცა კლუბებმა ერთმანეთს მოთამაშეები გაუცვალეს. ახლა, შეხვედრის დაწყებამდე „ბოსტონის" გასახდელში ვიღაც კვიმატმა ყოფილი ბოსტონელების რიკი დევისისა და მარკ ბლუნტის სურათები გააკრა. ხუმრობდა თუ თავის გუნდს საბრძოლველად ქოქავდა, არავინ იცის, მაგრამ ბოსტონელები გვარიანად შემართულები კი გავიდნენ მოედანზე და იმ ყოფილ თავისიან რიკი დევისს სეზონში სარეკორდო 35 ქულა, „მინესოტას" ლიდერ კევინ გარნეტს კი სამმაგი დუბლი ჩაუყარეს წყალში.

**კოტე ყორშია**

# ევროპის ჩემპიონატი
## ბირმინგემი. დიდი ბრიტანეთი. 2-4 მარტი

# გარდნერი ოთხგზის გრანდია



AFP ბირმინგემიდან

**ბირმინგემის** მძლეოსნობის მაზვშებს არ უნანიათ, იააფ-ს ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატის ჩატარების ნებართვა რომ გამოსთხოვეს. ჩემპიონატი, შეიძლება ითქვას, რომ შედგა — ტურნირს არც მაყურებლები აკლდა და არც ინტერესი, ამასთან ბრიტანელმა მძლეოსნებმაც არ ჩაიფლავეს და კუნძულზე ოთხი ოქროს მედალი დატოვეს. მესამე და უკანასკნელ დღეს მასპინძელთა ყულაბას ორი ოქრო შეემატა და ორივეს მომხვეჭნი კაცები არიან — 60-მეტროსანი სპრინტერი ჯეისონ გარდნერი და 400-400 მეტრზე მოესტაფეტე 4-კაციანი გუნდი.

31 წლას გარდნერი ღია მოედანზე 100-მეტრიან დისტანციაზე რომ მიუშვა, დიდი შანსია, ფინალურ 8-კაციან სიაშიც ვერ მოხვდეს, მაგრამ ევროპულ დარბაზებში მას დიდი ხანია, ვერავინ ჯობს. იგებს და იგებს — აგერ ზედიზედ მეოთხე ევროპის ჩემპიონატი მოიგო (2000 წელს გენტში იმარჯვა, 2002 ვენა, 2005 მადრიდი) ახლა შინაური პუბლიკის წინაშეც რომ პირველმა გადაკვეთა ფინიში, ამ ამბავმა დიდად გაახარ-ალაფრთოვანა, თან ჩიოდა — ფორმაში ვერ ვარ, ახალგაზრდებიც დიდად მეცილებიან, მაგრამ მაინც მოვიგე სამშობლოში და ეს უფრო დიდი ბედნიერების მომგვრელია, ვიდრე მოგებამდე შემეძლო წარმომედგინაო. მერე კი ცოტა რომ დაწყნარდა, იქვე დაურთო — თუ სიმართლე გაინტერესებთ, მაინც ყოველთვის მტკიცედ მჯეროდა, რომ მოგება მე დამრჩებოდაო.

კაცთა 1500-მეტრიან გარბენში 9 კაცი მონაწილეობდა. სამი მათგანი ესპანელი იყო და ამათ სადღაც შუა დისტანციიდან რომ აუჩქარეს ფეხს, დარჩენილი გზა ასე წითელ-ყვითელ მატარებლად მხიარულად გალიეს. პოდიუმზეც უცხოტომელი არავინ გააჭაჭანეს. ოქრო ხუან კარლოს იგუეროს ერგო, ვერცხლი სერხიო გალარდოს, ბრინჯაო კი არტურო კასადას. მაგრამ ესეც სათქმელია, რომ ცხელსისხლიანი ესპანელები დიდად ვერ ბრწყინავენ ნატურალურ ანუ ჭერსგარე 1500-მეტრიან ბილიკებზე. აქ უფრო ცხელსისხლიან აფრიკელ არაბობას აქვს მედლებზე მონოპოლია აღებული. ევროპაში კი ბატონი, ესპანეთი პირველობს.

სამაგიეროდ, სიმაღლეზე ხტომა უფრო ჩრდილოელების საქმეა, განსაკუთრებით შვედების. ქალებში აქ პირველობა კაისა ბერგკისტმა ბელგიელ ტია ელებოს დაუთმო, მით უფრო, რომ ბირმინგემში ბერგკვისტი არ ხტუნავდა და ელებომ იოლად და გრაციოზულად მოიგო. აი, კაცებში კი ოქრო შვედებს დარჩათ — მოქმედმა ჩემპიონმა სტეფან ჰოლმმა მხოლოდ 2,34 მეტრი ამყოფინა გამარჯვებას, რაც კაცებში საშუალო სიმაღლედ ჩაითვლება.

ბირმინგემში არ ჩასულა ჭოკის რუსი დიდოსტატი ელენა ისინბაევა, რამაც ხალხს საინტერესო და დაძაბული სანახაობის ხილვის მოლოდინი ჩაუსახა, მაგრამ მეორე რუსის სვეტლანა ფეოფანოვას „გადამკიდე“ ბრძოლა კვლავ არ ყოფილა. სვეტამ სულ რაღაც 4,76 მეტრითაც უიოლესად იმარჯვა.

**კოტე ყორშია**

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| შვიდჭიდი | რომან შებრლე (ჩეხეთი) | 6 196 |
| 800 მ | არნო ოკენი (ჰოლანდია) | 1:47,92 |
| 1 500 მ | ხუან კარლოს იგუერო (ესპანეთი) | 3:44,41 |
| სიგრძეზე ხტომა | ენდრიუ ჰოუ (იტალია) | 8,30 |
| სიმაღლეზე ხტომა | სტეფან ჰოლმი (შვედეთი) | 2,34 |
| 60 მ | ჯეისონ გარდნერი (ბრიტანეთი) | 6,51 |
| 4X400 მ | ბრიტანეთი (ტობინი, გარლანდი, ტეილორი, გრინი) | 3:07,04 |
| **ქალები** | | |
| ბირთვის კვრა | ასუნტა ლენანტე (იტალია) | 18,92 |
| სამხტომი | კარლოტა კასტრეხანა (ესპანეთი) | 14,64 |
| 800 მ | ოქსანა ზბროშკი (რუსეთი) | 1:59,23 |
| ჭოკით ხტომა | სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) | 4,76 |
| 60 მ | კიმ გევარი (ბელგია) | 7,12 |
| 4X400 მ | ბელარუსი (ილშჩენკო, ხლიუსტოვა, ს. უსოვიჩი, ი. უსოვიჩი) | 3:27,83 |



# მარკესმა ვასკესი გალახა

რაფაელ მარკესმა ფაქტობრივად პირველივე რაუნდში მოაგვარა საქმე, როცა თანამემამულე იზრაელ ვასკესს ცხვირი გაუტეხა და ეს უპირატესობა იმყოფინა WBC-ს ვერსიის ქამრის მოსაპოვებლად მსატე წონაში.

მარკესმა თავიდანვე აქტიურად დაიწყო და მეტოქეს ისე მწარედ მოარტყა ცხვირში, რომ ვასკესს მთელი წინასაბრძოლო გეგმა წყალში ჩაეყარა. ვასკესის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტკივილს დიდხანს უძლებდა და შემდეგ რაუნდებში მდგომარეობაც გამოასწორა, როცა ერთი-ორჯერ ბაგირებთან მიიმწყვდია მარკესი და ბლომადაც უთავაზა, მაგრამ როცა გატეხილი ცხვირის გამო უკვე სუნთქვის პრობლემები შეექმნა, იძულებული გახდა, ბრძოლა შეეწყვიტა.

მარკესისთვის ეს 37-ე საკარიერო გამარჯვება გამოდგა — ამათგან 33-ში მეხიკოს მკვიდრმა ნოკაუტით იმარჯვა.

# კოტოს უცნაური გამარჯვება



საკუთარი ტრიბუნების წინ მოჩხუბარმა მიგელ ანხელ კოტომ შეძლო და დაიცვა თავისი WBA-ს ტიტული ქამრისთვის მებრძოლ სავალდებულო პრეტენდენტ, თურქული წარმოშობის გერმანელ ოქტაი ურკალთან.

ერთი ეგაა, რომ პუერტორიკოელს უცნაური გამარჯვება გამოუვიდა.

კოტო საწყის რაუნდებში აშკარა უპირატესობას ფლობდა და გერმანელს რამდენჯერმე ძალიან მწარედაც მოარტყა. მაგრამ შემდეგ ურკალმა პუერტორიკოელს წარბი გაუხეთქა და ბრძოლაც გაათანაბრა. მეშვიდე რაუნდში გერმანელს ქულა ჩამოართვეს მეტოქის თავით დარტყმისთვის, ხოლო როცა მეთერთმეტე რაუნდში ურკალი კიდევ ერთხელ დააჯარიმეს ანალოგიური დარღვევისთვის, გერმანელი რინგიდან თავისივე მწვრთნელებმა გაიყვანეს პროტესტის ნიშნად.

ისე, ამ საქციელით თუ ვინმემ რამე დაკარგა, ურკალმა, თორემ კოტო ისევ ქამრით ყელყელაობს.

# ბერიოს შურისძიება

კოლუმბიელმა ალეხანდრო ბერიომ ყველაფერი ერთად მიიღო — შურიც იძია პროფესიონალურ რინგზე ჯერჯერობით თავის ერთადერთ მძლეველ გერმანელ რობერტ შტიგლიცზე, რითაც პატივმოყვარეობის გრძნობის დაკმაყოფილებისთან ერთად IBF-ის ვაკანტური ტიტულიც დაითრია სუპერსაშუალო წონაში.

შტიგლიცთან კოლუმბიელმა 2005 წლის 3 დეკემბერს წააგო ძალიან დაძაბულ, 11 რაუნდიან ბრძოლაში. იმის შემდეგ 30 წლის სამხრეთამერიკელმა კარიერის სასიკეთოდ შემოტრიალება მოახერხა და ეუსებიო ჩიკილოსა და იუსაფ მაკის ზედიზედ დამარცხებით ტიტულისთვის მებრძოლ სავალდებულო პრეტენდენტად გადაიქცა.

და აგერ, სუპერმოტივირებულმა ბერიომ უსასტიკესად გალახა შტიგლიცი და საქმე მესამე რაუნდში მოათავა — ორჯერ ჩაახუტა ფიცარნაგს გერმანელი, რომელიც მართალია, ორჯერვე წამოდგა, მაგრამ იმდენად უსუსურად გამოიყურებოდა, რომ რეფერიმ ველარ გაუძლო მის წვალებას და ბრძოლა შეწყვიტა.

# ძმა ძმისთვისაო



WBC-ს ვერსიით ექსჩემპიონმა ვიტალის კლიჩკომ თავისი ძმის, ვლადიმირის რეი ოსტინთან ბრძოლისთვის მზადებაზე ისაუბრა და თავისი პროგნოზიც გამოთქვა. ვიტალი დარწმუნებულია ძმის მზადყოფნაში და ეჭვი არ ეპარება, რომ ვლადიმირი თავისუფლად მოახერხებს IBF-ის ქამრის შენარჩუნებას.

„ამ ბრძოლისთვის ჩვეული სისტემით ემზადებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამჯერად უჩვეულოდ ბევრი სპარინგ-პარტნიორი გამოიცვალა. ჩვეულებრივ სპარინგებისთვის 6-8 მოკრივეს ვიწვევთ ხოლმე, მაგრამ ამჯერად თორმეტ სხვადასხვა მოკრივესთან მოუწია ვარჯიში, რადგან ისინი ჩემს ძმას დიდხანს ვერ უძლებდნენ რინგზე. აქედანაც ჩანს, რამდენად კარგად არის ვლადიმირი მომზადებული. დარწმუნებული ვარ, რომ ის დროზე ადრე მოამთავრებს საქმეს“ — ნაწილობრივ ძმას ამხნევებს, ნაწილობრივ კი ოსტინის შტაბს აშინებს ვიტალი კლიჩკო.

**ქახა ლომჯაშვილი**





# კლასიკური ვირის თავი ბოონენს

**კვირას** ბელგიის გზებზე წლევანდელ სეზონში პირველი კლასიკური ერთდღიანი რბოლა კურნე-ბრიუსელი-კურნე გაიმართა და საფინიშო სპრინტის ბელგიელი დიდოსტატის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტომ ბოონენის გამარჯვებით დასრულდა. ბოონენმა ბოლო სამას მეტრზე განავითარა თავისი ცნობილი სპურტი და მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ბოონენის, უკვე მეექვსე გამარჯვება მიმდინარე სეზონში. მანამდე მან, ერთბაშად ხუთი ეტაპი მოიგო „ყატარის ტურზე“. ბელგიაში გამარჯვების სანაცვლოდ ბოონენს მეტად ორიგინალური პრიზი ერგო — მოოქროვილი ვირის თავი.

# ალეხანდრო ვალენსიელი



**შარშანდელი** შედეგების მიხედვით UCI-ის(ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) რეიტინგის პირველმა ნომერმა, ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ წლეულს პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

ვალვერდემ ყველას აჯობა კვირას დასრულებულ რიგით 65-ე „ვალენსიის ტურში“. ამ ერთკვირიანი რბოლის გადამწყვეტი, სამთო ეტაპი შაბათს იყო და ვალვერდემ ის ბრწყინვალე სტილში მოიგო. ამ გამარჯვებით ალეხანდრო საერთო ჩათვლაში დაწინაურდა და კვირას, უკვე ვალენსიის ქუჩებში, უპირატესობის შენარჩუნება ალარ გასჭირვებია.

# ლადო ლოგრენელი ვადუცში ჩავიდა



**21 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ კარიერაში მესამე ტიტული მოიპოვა — კვირას შვეიცარიული ლოგრენის ჭერქვეშა ხალიჩაზე დასრულებული ტურნირი მოიგო.

ფინალურ მატჩში ლადოს მეტოქე კორტის მასპინძელი სვენ სვინენი იყო და ქართველმა მოწინააღმდეგეს ტაი-ბრეიკებზე წარმატებული თამაშით აჯობა — 7:6 (7:3) 7:6 (8:6).

შვეიცარიიდან ლადო შორს არ წასულა. იქვე, ჯუჯა სახელმწიფო ლიხტენშტეინის მთავარქალაქ ვადუცში გადავიდა და ამ კვირაში იქ ეცდება წარმატებული თამაშის გაგრძელებას.

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ლადო ჩიხლაძის** მიერ შვეიცარიულ ლოგრენში მოპოვებული გამარჯვება ATP-ის რეიტინგში მომავალ ორშაბათს აისახება. მანამდე კი ქართველმა ჩოგბურთელმა 24 ადგილით უკან დაიხია და 38 სარეიტინგო ქულით 586-ე პოზიციაზე მოიკალათა.

სამი პოზიცია მოიგო და 238 ქულით 169-ე საფეხურზეა საქართველოს პირველი ჩოგანი ირაკლი ლაბაძე.

ქალთა კლასიფიკაციის ათასეულში კვლავაც შვიდი ჩვენებურია. მათგან ყველაზე მაღლა მაკა ჩახნაშვილია, ვინც 212,5 ქულით, წინა კვირის მსგავსად, ისევ 144-ე ადგილზე იმყოფება.

ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და კარიერის უმაღლეს — 269-ე პოზიციას უწია ანა ტატიშვილმა, ვისაც 86,75 სარეიტინგო ქულა აქვს. პირიქით — ორი საფეხურით დაბლა დაიწია სოფო მელიქიშვილმა და ახლა 58,5 ქულით 342-ე ადგილზეა.

დანარჩენებმა მცირედით, მაგრამ წინ წაიწიეს. სალმე დევიძემ (25,5 ქულა) 15 პოზიცია მოიგო და 531-ე საფეხურს უწია; სოფო შაფათავამ თავისი 15,25 ქულით ექვსით მაღლა, 676-ე ადგილზე აინაცვლა; თხუთმეტი პოზიცია მოიგო ეკა გორგოძემ, ვინც 12 ქულით 758-ეა, ხოლო მანანა შაფაქიძემ 8,25 ქულით შვიდი საფეხურით მაღლა აიწია და 880-ე პოზიციაზე გამაგრდა.



ანა ტატიშვილი

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 8210 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4480 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2830 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2685 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2585 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2555 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2395 |
| 9. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2115 |
| 10. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1995 |
| 11. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1975 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1785 |
| 13. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1715 |
| 14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1700 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1645 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1590 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1515 |
| 18. მარკოს ბალტადისი (კვიპროსი) | 1465 |
| 19. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1300 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1285 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 260 |
| 2. ტომი ჰაასი (გერმანია) | 175 |
| 3. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 148 |
| 4. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 144 |
| 5. ენდრი როდიკი (აშშ) | 140 |
| 6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 122 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 110 |
| 8-9. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 102 |
| 8-9. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 102 |
| 10-11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 96 |
| 10-11. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 96 |
| 12. მარდი ფიში (აშშ) | 95 |
| 13. მარკოს ბალდატისი (კვიპროსი) | 90 |
| 14. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 86 |
| 15-16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 80 |
| 15-16. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 80 |
| 17. კარლოს მოია (ესპანეთი) | 79 |
| 18-19. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 71 |
| 18-19. ქსავიე მალისი (ბელგია) | 71 |
| 20. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 63 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3824 |
| 2. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3791 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2933 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2710 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2630 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2361 |
| 7. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2071 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1869 |
| 9. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1807 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1742 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1650 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1569 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1552 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1463 |
| 15. სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1214 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 1117 |
| 18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1107 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1032 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 942 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 926 |
| 3. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 915 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 895 |
| 5. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 820 |
| 7. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 700 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 610 |
| 9. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 565 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 560 |
| 11. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 541 |
| 12. შაჰარ პირი (ისრაელი) | 486 |
| 13. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 455 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 436 |
| 15-16. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 371 |
| 15-16. დინარა საფინა (რუსეთი) | 371 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 357 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 356 |
| 19. ნა ლი (ჩინეთი) | 346 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 320 |



AFP ლას ვეგასიდან

# ჰიუიტის ათი ტიტულწელი

**კაცები**
ლას ვეგასი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 416 000 $

**ფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) — იურგენ მელცერი (4, ავსტრია) 6:4 7:6

ეს გამარჯვება ლეიტონ ჰიუიტისთვის შეიძლება სულაც არ იქცეს მომავალი აღმავლობის საფუძვლად, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განცდილი ფიასკოებისა და გახშირებული ტრავმების შემდეგ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებაში მაინც დაეხმარება.

ავსტრალიელმა რვათვიან სატიტულო გვალვას (ბოლოს ზედ უიმბლდონის წინ ქუინსში იხეირა) ბოლო იურგენ მელცერის ძლევით მოუღო და ნაწილობრივ შური იძია შარშან აქვე ფინალში დამარცხებისთვის. ერთი წლის წინ ოზმა ჯეიმს ბლეიკთან წააგო, თან თითქმის უშანსოდ. ამჯერად ლეიტონს გაცილებით სუსტ მეტოქესთან უწევდა თამაში, პლუს მელცერთან ჰიუიტს კარგად გამოსდის ჩოგნაობა, რადგანაც გუშინდლამდე ოთხიდან ოთხჯერ დაემარცხებინა.

ლეიტონმა არც ამჯერად ისურვა თავისთვის ამ მეტად სასიამოვნო ტრადიციის დარღვევა და მელცერს ორ სეტში გაუსწორდა. თუმც ისიც სათქმელია, რომ ავსტრიელმა საკმაოდ ღირსეულად ითამაშა და მატჩის განმავლობაში ოთხჯერ „გატეხა“ გოროზი მეტოქე. ერთი ეგაა, რომ საკუთარ მოწოდებაზე თვითონ უფრო საზიზღრად გამოიყურებოდა და ამიტომაც საბოლოო ჯამში ვერაფერი მოახერხა.

მელცერს შეეძლო საქმის გადამწყვეტ სეტამდე მიყვანა, მაგრამ ტაიბრეიკზე სამი სეტპოინტი გაანიავა, რაც ჰიუიტმა არ აპატია და საქმე ორ პარტიასა და საათნახევარზე ოდნავ მეტში მოათავა.

„ლას ვეგასში ჩამოსვლისას მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ტრავმა არ გამემიზეზებინა. მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი კარგად წავიდა, თანდათან მოვუმატე და ფინალში უკვე ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია“ — ხარობდა ნამატჩევს ჰიუიტი, ლეიტონისთვის ეს 26-ე საკარიერო ტიტული იყო, თუმც ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავსტრალიელი ერთადერთი ჩოგნის მქნეველია მოქმედ მოთამაშეთა შორის, ზედიზედ 10 წელია, ერთი ტურნირის მოგებას მაინც რომ ახერხებს. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰიუიტი ჯერ 26 წლისაა.

**კახა ლომაშვილი**

# ფედერერი ჯგუფური ეტაპების წინააღმდეგია

**ნიშნის** მოგების საფუძველი მიეცა როჯერ ფედერერს. დიადი ალპელი ამ ბოლო დროს ტურნირებზე პრაქტიკაში შემოღებული ჯგუფური ეტაპის უპირველესი მოწინააღმდეგე იყო. ჰოდა, ახლა „მხიარულ როჯერს“ თავისი სიმართლის დამტკიცების საშუალება აქვს ლას ვეგასში მომხდარი კაზუსის შემდეგ — აქ ერთ-ერთ ჯგუფში მაგარი დომხალი დატრიალდა. ჯეიმს ბლეიკს ჯგუფიდან გასასვლელად ხუან მარტინ დელ პოტროს დამარცხება ესაჭიროებოდა 5 ან მეტი გეიმის სხვაობით. მაგრამ არგენტინელს სუნთქვის პრობლემები შეექმნა და მატჩი შეწყდა 6:1 3:1 ანგარიშზე. რადგან წესებით, მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში გეიმების რაოდენობა არ ითვლება, ბლეიკი უნდა გავარდნილიყო. თუმც ATP-ის აღმასრულებელ დირექტორ ეტიენ დე ვილიესთან მოლაპარაკების შემდეგ ბლეიკი დაუშვეს ნახევარფინალში. აქ უკვე მარატ საფინმა და ლეიტონ ჰიუიტმა აიმაღლეს ხმა და წესების დაცვა მოითხოვეს, რის გამოც ბლეიკი მაინც თამაშგარე დარჩა.

ამ შემთხვევამ ხაზი გაუსვა ჯგუფური ეტაპის დაუხვეწაობას:

„ამ სისტემის ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი.. ძველს რას ერჩიან, არანაირ სრულყოფას არ საჭიროებს. მესმის, რომ მესიე დე ვილიეს ჩოგბურთის განვითარება უნდა, მაგრამ არსებულ სატურნირო სისტემას მოეშვას და სხვა რამეზე იზრუნოს“ — ბრძანა ფედერერმა.

**კახა ლომაშვილი**

# რეგულარული ჩემპიონატი

4 მარტი

**ატლანტა 3:1 კაროლინა**

*1:1 1:0 1:0*

1:0 ჰოსა (10), 1:1 ბრინდამორი (20), 2:1 კოვალჩუკი (35), 3:1 ჰოსა (50)

**დალასი 0:4 სან ხოსე**

*0:1 0:2 0:1*

0:1 ბრაუნი (3), 0:2 კლოუ (32), 0:3 პაველსკი (36), 0:4 პაველსკი (59)

**ანაჰაიმი 3:2 ნეშვილი**

*0:2 1:0 1:0 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 ტიმონენი (9), 0:2 დიუმონი (20), 1:2 სელიანე (22), 2:2 პენერი (44)

**ნიუ ჯერსი 1:4 ბოსტონი**

*0:1 0:1 1:2*

0:1 ჟორდი (13), 0:2 შტურმი (21), 1:2 რაპი (47), 1:3 ბოჩენსკი (49), 1:4 აქსელსონი (60)

**პიტსბურგი 4:3 ფილადელფია**

*0:2 2:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 იორკი (2), 0:2 კობურნი (14), 1:2 რობერტსი (51), 2:2 კრისტენსენი (38), 2:3 უმბერგერი (47), 3:3 კრისტენსენი (55)

**დეტროიტი 3:4 კოლორადო**

*0:0 1:2 2:1 0:1 (ოვერტაიმი)*

0:1 ჰეიდუკი (31), 0:2 არნასონი (35), 1:2 ფილპულა (40), 2:2 დრეიპერი (42), 2:3 მაკლინი (49), 3:3 დრეიპერი (59), 3:4 რიჩარდსონი (63)

**ჩიკაგო 4:3 ოტავა**

*1:1 0:2 2:0 0:0 (1:0 ბულიტები)*

1:0 ვრბატა (7), 1:1 საპრიკინი (12), 1:2 ალფრედსონი (28), 1:3 ვერმეტი (33), 2:3 ჰოლმკვისტი (44), 3:3 ვრბატა (59)

**ვანკუვერი 4:3 მინესოტა**

*1:1 2:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 რადივოევიჩი (7), 1:1 სალო (18), 1:2 გაბორიკი (21), 2:2 კოუენი (23), 3:2 კოუენი (33), 3:3 იუნსონი (55)




ბოსტონელმა მარკო შტურმმა ნიუჯერსელი მარტინ ბროდო დაამწუხრა

| აღმოსავლეთ კონფერენცია | მ | შ | ქ | | დასავლეთ კონფერენცია | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბუფალო | 65 | 251:189 | 93 | NHL | ნეშვილი | 67 | 231:173 | 93 |
| ნიუ ჯერსი | 66 | 175:157 | 87 | NHL | ანაჰაიმი | 67 | 213:174 | 89 |
| ტამპა | 67 | 214:208 | 78 | NHL | ვანკუვერი | 65 | 173:165 | 81 |
| ოტავა | 66 | 226:181 | 81 | NHL | დეტროიტი | 66 | 208:162 | 91 |
| პიტსბურგი | 65 | 221:203 | 79 | NHL | დალასი | 65 | 170:156 | 81 |
| ატლანტა | 67 | 203:209 | 78 | NHL | სან ხოსე | 66 | 197:169 | 80 |
| აილენდერსი | 65 | 197:184 | 75 | NHL | კალგარი | 65 | 211:174 | 79 |
| კაროლინა | 68 | 199:209 | 73 | NHL | მინესოტა | 66 | 190:167 | 79 |
| მონრეალი | 68 | 197:211 | 72 | NHL | კოლორადო | 66 | 218:211 | 69 |
| ტორონტო | 66 | 208:217 | 71 | NHL | სენტ ლუისი | 65 | 169:196 | 66 |
| ბოსტონი | 65 | 190:230 | 69 | NHL | ედმონტონი | 66 | 174:194 | 66 |
| რეინჯერსი | 65 | 190:184 | 69 | NHL | კოლუმბუსი | 66 | 165:205 | 59 |
| ფლორიდა | 66 | 194:210 | 67 | NHL | ჩიკაგო | 66 | 162:205 | 57 |
| ვაშინგტონი | 66 | 199:236 | 60 | NHL | ფინიქსი | 65 | 174:222 | 57 |
| ფილადელფია | 65 | 173:248 | 45 | NHL | ლოს ანჯელესი | 65 | 185:228 | 54 |

კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრების მაჩვენებლებს

## ლიგის ლიდერები



ნიკლას ლიდსტრომი

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 98 (27+71); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 89 (39+50); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 88 (42+46); დენი ჰითლი (ოტავა) 85 (40+45); მარიან ჰოსა (ატლანტა) 84 (38+46); მარკ სავარი (ბოსტონი) 84 (21+63); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 82 (16+66); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 80 (38+42); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 78 (27+51); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 78 (39+39); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 77 (24+53); ჯო საკიკი (კოლორადო) 76 (27+49); რეი უიტნი (კაროლინა) 73 (27+46); ჯერმო იგინლა (კალგარი) 73 (31+42); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 70 (21+49)

გოლეადორები: ლეკავალიე 42; ჰითლი 40; სელიანე, სენ ლუი 39-39; ოვეჩკინი, ჰოსა 38-38; სიმონ განიე (ფილადელფი) 35; ილია კოვალჩუკი (ატლანტა), ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 34-34; კრის დრური (ბუფალო), ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი), ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი) 33-33

ასისტენტები: კროსბი 71; ტორონტონი 66; სავარი 63; იაგრი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 53-53; ბრიარი 51; პაველ დაციუკი (დეტროიტი), სენ ლუი 50-50; საკიკი, ბრინდამორი 49-49; ნიკლას ლიდსტრონი (დეტროიტი), ალექს ტანგეი (კალგარი) 47-47

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 38; ვანეკი 37; ტომ პრეისინგი (ოტავა) 33; დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი) 31; დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 28; ზეტერბერგი, კრის პრონგერი (ანაჰაიმი), დერეკ რუა (ბუფალო) 26-26; რობინ რეგერი (კალგარი), დაციუკი, ჯეისონ პომინვილი (ბუფალო) 25-25

### მეკარეები



დომინიკ ჰაშეკი

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,04; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,09; ნიკლას ბექსტრომი (მინესოტა) 2,22; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,24; მარტი ტურკო (დალასი) 2,30; კრის მეისონი (ნეშვილი) 2,35; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,36; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 2,38

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: მეისონი 92,7; ბროდო 92,5; ბექსტრომი 92,3; ლუონგო 92,0; რეი ემერი (ოტავა) 91,19; ჟიგერი 91,19; კიპრუსოფი 91,19; კრისტობალ იუე (მონრეალი) 91,18; ტომაშ ვოკუნი (ნეშვილი) 91,18

მოგებული მატჩები: ბროდო 39; ლუონგო 37; ჰაშეკი 33; კიპრუსოფი, რაიან მილერი (ბუფალო) 32-32; მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი), ჟიგერი 31-31; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), ტურკო, ენდრიუ რეიკროფტი (ტორონტო) 29-29

შათაუტები: ბროდო 12; ჰაშეკი, კიპრუსოფი 6-6; მენი ლეგასი (სენტ ლუისი), ემერი, მეისონი, ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე), დიპიეტრო 5-5.



## შავებმა ვუდკოკი გაიხანგრძლივეს



ახალი ზელანდიის შერკინების ბურჯმა ტონი ვუდკოკმა თავისი ქვეყნის რაგბის ფედერაციასთან კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა. სამი ერის ქვეყნებში — ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში რაგბის ფედერაციები ნაკრების კანდიდატებთან კონტრაქტს აფორმებენ, რითაც მორაგბეებს ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაშს ავალდებულებენ. უკონტაქტო მოთამაშეს კი სრული უფლება აქვს, ნაკრებში არ გამოცხადდეს — ვერც სანქციას დააკისრებენ.

26 წლის ტონი ვუდკოკი „ოლ ბლექსში" 2002 წლიდან თამაშობს და 27 სანაკრებო კეპიც დაუგროვდა. „ტონი ძალიან საჭირო მოთამაშეა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ დროისთვის იგი მსოფლიოს საუკეთესო ბურჯებში შედის და მასთან კონტრაქტის გახანგძლივებით კარგი საქმე გავაკეთეთ" — განაცხადა ახალი ზელანდიის რაგბის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა სტივ ტიუმ.

## მამლებს წვერი ამოუვიდათ



ტრავმით გამოწვეული ორკვირიანი დასვენების შემდეგ ამ უქმეებზე ინგლისთან ისტორიული ჯახის წინ ფრანგებს წვერმოშვებული მორკინალი სებასტიან შაბალი დაუბრუნდათ. ინგლისური „შარქსის" მორკინალი იტალიასთან მატჩში დაშავდა და უელსთან და ირლანდიასთან ჯახებიც გამოტოვა. „შაბალის გამოჯანმრთელებამ სულზე მოგვისწრო. მისი სახით საიმედო მბოჭავი დაგვიბრუნდა და დარწმუნებული ვარ, სებასტიანი ინგლისელებს სისხლს გაუშრობს" — დიდ გულზეა „მამლების" მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი.

## ვიკერი ლაზარეთში ჩაეწერა



ინგლისის ნაკრების 60 წლის მწვრთნელ ბრაიან ეშტონს ოპტიმალური რაზმის შეკრება არა და არ ეღირსა. ექვსი ერი ისე სრულდება, ყოველი მატჩის წინ ეშტონის ერთ-ორი ბობოლა რაზმელი ყოველთვის ტრავმირებული ჰყავს. საფრანგეთთან შეხვედრამდე პრემიერლიგურ ჯახში „ვარდების" ბურჯი და კაპიტანი ფილ ვიკერი დაშავდა. ვიკერი მომდევნო 48 საათს ტრავმატოლოგთან გაატარებს, როგორმე შაბათამდე ჯანზე რომ მოვიდეს. „ხერხემლის აუტანელი ტკივილები მაქვს. ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რომ უმოკლეს ვადაში მიმკურნალონ, მხოლოდ მატჩის წინა დღეს შევცოდინება, ვითამაშებ თუ არა — თქვა ვიკერიმ.

## ვერ ყოფილა კაი მოთხილამურე

საფრანგეთის ნაკრების ბურჯი სილვენ მარკონე ინგლისელებთან ვერ ითამაშებს და საერთოდაც, ორთვიანი უქმობა მოუწევს. მარკონემ მარჯვენა ფეხი ორ ადგილზე მოიტეხა და ახლა ყავარჯნებით გადაადგილდება. 170-სანტიმეტრიანი და 130-კილოგრამიანი მორკინალი საფრანგეთის ზამთრის კურორტზე ატარებდა უქმეებს, თხილამურებით დაშვება მოინდომა და შუა გზაზე მოსრიალდა.

## შვილი დედის სამშობლოში



შოტლანდიის რაგბის ფედერაცია ინგლისური „გლოსტერის" ვუნდერკინდს რაიან ლემბს მოქალაქეობის შეცვლას და შოტლანდიის ნაკრებში თამაშს სთავაზობს. 20 წლის ლემბი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანია და „ა" ნაკრებშიც უთამაშია, თუმც რაგბის საერთაშორისო საბჭოს წესებით თუ ეროვნულ ნაკრებში არ უთამაშია, მოთამაშეს აქვს უფლება, სხვა ქვეყნის სანაკრებო კვართი მოირგოს. ოღონდ, ერთი წინაპარი მაინც ამ რჩეული ქვეყნიდან უნდა ჰყავდეს. ლემბის დედა კი შოტლანდიელია და შვილსაც ურჩევს, შოტლანდიის ღირსება დაიცვას.

## მსოფლიოს თასი. VII ეტაპი
### ლაჰტი. ფინეთი. 28 თებერვალი – 4 მარტი



# პუარეს ჰეთ თრიკი

**ბიატლონის** ფრანგმა დიდოსტატმა რაფაელ პუარემ ლაჰტის სამსოფლიოსთასო ეტაპი ჰეთ-თრიკით დაასრულა — 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლისა და 10-კილომეტრიანი სპრინტის შემდეგ 12,5 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაშიც ყველას აჯობა.

პუარემ უშეცდომოდ გაიარა ოთხივე სასროლეთი და, ზუსტად იდეალური სროლის წყალობით აჯობა გერმანელ მიხაელ გრაისს, ვინც ერთი სამიზნე დატოვა მთელი.

ლაჰტიში ბრწყინვალე გამოსვლით პუარემ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე აინაცვლა და ლიდერთან, ანუ გრაისთან 78 ქულასღა აგებს. წინ კიდევ ორი ეტაპი, ანუ ექვსი რბოლაა და თუ ფრანგი ასე გააგრძელებს, ნამდვილად შეძლებს გერმანელის გადასწრებას.

ქალთა შორის კი ლაჰტური ეტაპი როგორც დაიწყო გერმანელთა დომინაციით, ასევე დასრულდა. 10 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში მარტინა გლაგოვმა, კატი ვილჰელმმა, კატრინ ჰიტცერმა და ანდრეა ჰენკელმა პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს. საერთო ჩათვლაში ვილჰელმი დაწინაურდა. შვედ ანა კარინ ოლოფსონს ის 35 ქულით უსწრებს.

### კაცები

| 12,5 კმ გამოდევნება (ოთხი სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 31წთ 03,79 წმ (0 აცდენა) |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | +6,0 წმ (1) |
| 3. სვენ ფიშერი (გერმანია) | +6,4 (1) |
| 4. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +22,5 (1) |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +31,7 (0) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 641 ქულა |
| 2. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 567 |
| 3. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 533 |
| 4. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 528 |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 506 |

### ქალები

| 10 კმ გამოდევნება (ოთხი სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 28 წთ 48,70 წმ (1 აცდენა) |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +15,9 წმ (1) |
| 3. კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | +51,6 (4) |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +51,9 (3) |
| 5. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | +52,4 (4) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 744 ქულა |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 709 |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 643 |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 562 |
| 5. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 501 |



## მსოფლიოს თასი

# ქალებმა ორი თავი დაისვეს
## გიოტჩლის მეორე მცირე ბროლი

**მთის** მოთხილამურე ქალთა მსოფლიოს თასის გენერალურ კლასიფიკაციაში იტალიური ტარვიზოს ეტაპის შემდეგ ლიდერი შეიცვალა და თანაც ორხელისუფლებიანობა დამყარდა — 1199-1199 ქულით წინ ამერიკელი ჯულია მანკუზო და ავსტრიელი რენატე გიოტჩლი გაიჭრნენ, ხოლო ძველი ლიდერი, გიოტჩლის თანამემამულე მარლიზ შილდი მეოთხე ადგილზე დაქვეითდა. მას კიდევ ერთმა ავსტრიელმა ნიკოლ ჰოსპმაც გაასწრო.

ეს გადაადგილებები კვირის სუპერგიგანტის შემდეგ მოხდა, რომელიც გიოტჩლმა მოიგო, ხოლო ჰოსპი და მანკუზო მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ. თანაც ამ გამარჯვებით გიოტჩლმა სუპერგიგანტის საერთო ჩათვლაში პირველობაც დაიბევა — უახლოეს მეტოქეს, ამერიკელ ლინდსი კილდოუს 230 ქულას უგებს და სეზონის ბოლომდე კი ერთი სუპერგიგანტიღაა დარჩენილი.

აღსანიშნავია, რომ გიოტჩლმა წლეულს, უკვე მეორე მცირე ბროლის გლობუსი ირგუნა — სუპერგიგანტამდე სწრაფდაშვებაშიც ვადაზე ადრე გაინაღდა პირველობა.

შეიცვალა ლიდერი კაცთა საერთო ჩათვლაშიც. მსოფლიოს თასის ამჟამინდელმა მფლობელმა, ავსტრიელმა ბენჯამინ რაიხმა სლოვენიურ კრანსკა გორაში ჯერ გიგანტური სლალომი მოიგო, შემდეგ სლალომში მეორე ადგილი დაიკავა თანამემამულე მარიო მატის კვალად და ამის წყალობით მთელი 77 ქულით გადაასწრო ნორვეგიელ აქსელ ლუნდ სვინდალს.

მატი კი სლალომის ლიდერია — რაიხს 15 ქულით უსწრებს, ხოლო ძველ მოწინავეს, შვედ იენს ბიგმარკს — 75 ქულით.

**გია მუჯირი**



მარიო მატი

### კაცები

| კრანსკა გორა (სლოვენია) | |
|---|---|
| **სლალომი** | |
| 1. მარიო მატი (ავსტრია) | 1წთ 40,64 წმ (48,84+51,80) |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.41,25 (48,80+52,45) |
| 3. მანფრედ მოელგი (იტალია) | 1.41,60 (49,92+51,68) |
| 4. ჟერომ გრანჟე (საფრანგეთი) | 1.42,05 (50,88+51,17) |
| 5. მანფრედ პრენგერი (ავსტრია) | 1.42,33 (50,88+51,75) |
| **სლალომის ჩათვლა** | |
| 1. მარიო მატი (ავსტრია) | 520 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 505 |
| 3. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 445 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 945 ქულა |
| 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 868 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 788 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 671 |
| 5. მარიო მატი (ავსტრია) | 664 |

### ქალები

| ტარვიზო (იტალია) | |
|---|---|
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1წთ 18,66 წმ |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.19,67 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1.19,88 |
| 4. ალექსანდრა მაისნიტცერი (ავსტრია) | 1.19,95 |
| 5. ტინა მაზე (სლოვენია) | 1.20,01 |
| **სუპერგიგანტის ჩათვლა** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 540 ქულა |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 310 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 307 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1-2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1199 |
| 1-2. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1199 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1183 |
| 4. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1170 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 808 |



# სამი რეკორდი კალგარიდან



შენი დევისი

**კანადაში,** კალგარის ოლიმპიურ ოვალზე მოციგურავეთა მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი სამი მსოფლიოს რეკორდით დამშვენდა.

თავდაპირველად კლასიკურ მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა სვენ კრამერმა ივარგა და 5 000 მეტრიან დისტანციაზე ორი წლის წინ დამყარებულ თავისივე ძველ რეკორდს წამზე მეტი მოაკლო — 6 წუთი და 07,48 წამი.

მერე გერმანელი ჯენი ვოლფის ჯერი დადგა, რომელმაც მოციგურავეთა შედარებით ახალი დისტანცია, სუპერსპრინტერული 100 მეტრი ქალთათვის სარეკორდო 10,28 წამში გაიქროლა.

სარეკორდო წერტილი კი ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შენი დევისმა დასვა. შავკანიანმა იანკიმ 1 500 მეტრი წუთსა და 42,32 წამში დაფარა და თავისივე ძველი რეკორდი, რომელიც ერთი წლისწინათ კალგარიშივე იყო დამყარებული, 0,36 წამით გააუმჯობესა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეწიაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge